ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 11 აგვისტო 1998 №139 (674) ფასი 40 თეთრი


## ატლეტიკო მოვიდა, ნახავს. გაიმარჯვებს?




ლუის ფერნანდესის პირველი კითხვა: რა ქნა „დინამომ"?

გუშინ, ნაშუაღამევს ბილბაოდან ჩარტერული რეისით თბილისში იქაური „ატლეტიკო" ჩამოფრინდა ჩვენებურ „დინამოსთან" სათამაშოდ. ჩამოვიდა იმ იმედით, რომ ქართულ ბარიერს იოლად დაძლევს, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებს და თან კლუბის ქისასაც დაამძიმებს.

აეროპორტში ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდნენ ჩვენი შორეული ნათესავები ფრანგ მწვრთნელთან ერთად. გუნდის თავკაცი ლუის ფერნანდესი სახელდახელო ინტერვიუზე თავაზიანად დაგვყაბულდა.

**— ჯერ, რა თქმა უნდა, მგზავრობის შესახებ. ხომ არ დაიღალეთ?**

— დაღლით მართლაც დავიღალეთ ხუთსაათიანი ფრენის შემდეგ, თუმცა, ახლა კარგად დავისვენებთ და ძალებსაც სრულად აღვიდგენთ. ხვალ საღამოს ვივარჯიშებთ და მატჩსაც, იმედია, მაღალ დონეზე ჩავატარებთ.

**— ესპანეთის ჩემპიონატი თვის ბოლოს იწყება. სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა საქმეს ხომ არ გაგირთულებთ?**

— არა, რა თქმა უნდა. მართალია, ჩვეული სპორტული ფორმისგან ჯერ კიდევ საკმაოდ შორს ვართ, მაგრამ მეტად ნაყოფიერად მოვემზადეთ ჯერ საფრანგეთში, სადაც იქაურ კლუბებსაც შევხვდით და შედეგითაც კმაყოფილი დავრჩი, მერე კი ჩვენთან. ასე რომ, თქვენს „დინამოსთან" ნამდვილად კარგად ვითამაშებთ და შედეგიც ალბათ... თუმცა, ამაზე, სჯობს, ახლა არაფერი ვთქვა.

**— მეტოქეს თუ იცნობთ?**

— კი, ძალიან კარგად. მისი ორივე მატჩი ვნახეთ ალბანელებთან და საკმაო წარმოდგენაც შევიქმენით. მართალია, ადრინდელ, 80-აინების დასაწყისს გუნდს ვერ შეედრება, მაგრამ ახალგაზრდულობისა და გამოუცდელობის მიუხედავად მეტად სიმპათიური შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. ისინი კარგად არიან ორგანიზებულნი და მჭიდრო, ხისტ და ამასთან ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ. ერთადერთი თვალშისაცემი ნაკლი ის აქვთ, რომ ფიზიკურად ცოტას მოიკოჭლებენ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ძნელი მატჩი გველის და ჩვენც ყველაფერს გავიღებთ გასამარჯვებლად.

აქ ბასკთა თავკაცს დავემშვიდობეთ, მაგრამ გაგვაჩერა, ერთი მეც უნდა გკითხოთო — თქვენი ჩემპიონატი თუ დაიწყო და „დინამომ" თუ ითამაშაო?

როცა ვუთხარით, ითამაშა და 5:1-იც გაიმარჯვაო, ჩაფიქრებით გადააქნია თავი და შეეტყო, მთლად არ ესიამოვნა. კიდევ კარგი, დინამოელთა მეტოქის ვინაობა არ გავუმხილეთ, თორემ ეგებ მთელი ღამე ძილიც გაკრთომოდა, თბილისელებმა ასე სასტიკად „არსენალი" გაანადგურესო?

ამის შემდეგ მომღიმარი ბილბაოელები ხუთიოდე წუთით კიდევ გაუჩერდნენ ჟურნალისტებს. მერე თავიანთი ფრანგი წინამძღოლის ნიშანზე ავტობუსში ავიდნენ და სასტუმრო „მეტეხისკენ" გასწიეს.

ნეტავ, წასვლისასაც იგივე ღიმილი თუ ექნებათ სახეზე?

**გაიოზ თალაკვაძე**

მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში

## და მაინც იუგოსლავია!

9 აგვისტო

**იუგოსლავია 64:62 (30:35) რუსეთი**

**იუგოსლავია:** რებრაჩა (16), ბოდიროგა (11), ტოპიჩი (9), ტომაშევიჩი (7), ჯორჯევიჩი (7), ობრადოვიჩი (7), სტეპანოვიჩი (5), ბერიჩი (2)

**რუსეთი:** კუდელინი (14), პანოვი (14), კარასიოვი (9), მიხაილოვი (9), ნოსოვი (5), ბაბკოვი (4), დომანი (4), კისურინი (3)

...შეხვედრის დამთავრებამდე სულ რაღაც 30 წამი იყო დარჩენილი, როცა 57:56-ზე რუსთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მიხაილ მიხაილოვმა ბურთი ფარიდან ორიოდ მეტრში მიიღო. იმ მომენტში NBA-ს ნებისმიერი მოთამაშე დაუფიქრებლად შეუტევდა და ბურთს მეტოქის ხელებთან ერთად კალათში ჩატენიდა, მაგრამ... რუსთა სამწუხაროდ მიხაილოვს ნახტომი არ ეყო. მას მოულოდნელად წინ აღმართული



REUTERS ათენიდან

იუგოსლავია—რუსეთი. რუსებმა კინაღამ მოიგეს, მაგრამ კინაღამ არ ითვლება: რებრაჩა და ძმანი მისნი მართლაც უძლიერესნი იყვნენ

რებრაჩას ხელი გადაელობა და ბურთმაც იუგოსლავიელების ფარამდე არ მიაღწია.

ეს იყო ბრწყინვალედ შესრულებული ბლოკ-შოტი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონის ბედი გადაწყვიტა. მომდევნო შეტევაში რებრაჩამ კიდევ ერთი გმირობა ჩაიდინა. იგი ტოპიჩის მიერ არაზუსტად შესრულებულ საჯარიმო ტყორცნის შემდეგ ფარიდან ასხლეტილ ბურთს სასწაულებრივად დაეუფლა და აუღელვებლად გადაგზავნა გაოგნებულ რუსთა კალათში.

დარჩენილ დროში ბევრი არაფერი მომხდარა. რწმენადაკარგული რუსების ყოველი ცდა მატჩის გადარჩენისა ფუჭი გამოდგა. ბოლო წამზე ნახევარი წუთის წინ შერცხვენილმა მიხაილოვმა ორქულიანიც ჩააგდო, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა — 64:62 და იუგოსლავიის ნაკრები მსოფლიოს მე-13 ჩემპიონია (!).

იუგოსლავიელები რომ გამარჯვების უპირველესი ფავორიტები იყვნენ, მთელი ტურნირის განმავლობაში მათი დამაჯერებელი თამაშიდანაც ჩანდა. ვლადე დივაცის, პრედრაგ დანლოვიჩისა და არანაკლებ ძლიერი სავიჩის გარეშე დარჩენილი გუნდი დანაკლისს არ იმჩნევდა და რიგრიგობით ამარცხებდა შემხვედრთ. E ჯგუფში ბალკანელთა მიერ 95:55 განადგურებული კანადელთა მთავარი მწვრთნელი სტივ კონჩალსკი აღფრთოვანებული იყო და აკი გააფრთხილა კიდეც პირველობის მაძიებელი სხვა ფავორიტები — დღეს იუგოსლავიამ კალათბურთის ნამდვილი გაკვეთილი ჩაგვიტარა და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ესენი ხეირს არც სხვებს დააყრიანო.

მართლაც, ზელკო ობრადოვიჩის შეგირდებმა საუცხოოდ განვლეს ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა. იტალიასთან დასანანი წაგების შემდეგ მათ ზედიზედ დაამარცხეს არგენტინისა და საბერძნეთის ნაკრებები და ფინალში რუსებთან დაძაბულ ბრძოლაში მოგებით მსოფლიოს საუთესო გუნდის ტიტული მეოთხედ დაისაკუთრეს.

ფინალს განსაკუთრებული აჟიოტაჟი უძღოდა. აქამდე ყოფილი საბჭოთის (რომლის ყველა დამსახურება რუსეთმა მიითვისა) და იუგოსლავიის ნაკრებებს ამერიკელებთან ერთად ყველაზე მეტჯერ — სამჯერ მოეპოვებინათ მსოფლიოს ჩემპიონობა და ყველას აინტერესებდა, ვინ იქნებოდა ის იღბლიანი, ვინც ოთხგზის გამარჯვებულად შეაბიჯებდა 21-ე საუკუნეში.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

## ნეტა დიდები პატარებს გვიგავდნენ

ევროპის ჭაბუკ კალთბურთელთა ჩემპიონატის შესარჩევისწინა ეტაპი, რომელსაც რიგამ უმასპინძლა, ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. ჩვენმა ბიჭებმა ოთხივე თამაში ბრწყინვალედ ჩაატარეს, ბოლო დღეს თვით მასპინძელთა, ლატვიის ნაკრები დაამარცხეს 65:60 და პირველ ადგილზეც გავიდნენ.

ეს ამბავი მით უფრო დასაფასებელია, რომ ჩვენებს უამისოდაც განაღდებული ჰქონდათ ჯგუფში პირველობა. ჩვენებურთაგან დავით უგრეხელიძე საუკეთესო ცენტრად უღიარებიათ, ბაჩანა სულაძე კი საუკეთესო გამთამაშებლად. სატურნირო ცხრილის თავში, რასაკვირველია, ქართველები დამკვიდრდნენ, მომდევნონი კი პოლონეთი, ლატვია, ჩეხეთი და ბულგარეთი იყვნენ. შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება პირველმა სამეულმა მოიპოვა.

კობა ინასარიძე

ბელგრადიდან



## ტოგონიძემ პარტიზანებს დრო მისცა

ბელგრადში კარგ დროს მომიხდა ჩამოსვლა. გუშინწინ იუგოსლავია ხომ კალათბურთში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ჰოდა, კვირას ბელგრადში ერთ მოწყენილ, უღიმღამო სახესაც ვერ დაინახავდი. ყველანი საზეიმო ხასიათზე არიან. თუმცა, „ბათუმის" მეკარემ ნიკა ტოგონიძემ ისე ენამოსწრებულად იხუმრა, 13-მდე, რას ერჩი, იმხიარულონ, თავდაყირა დამდგარან, ჩვენი თამაშის მერე კი, ეგებ ცხვირჩამოშვებულებიც დავტოვოთო, რომ იუგოსლავიელთა, ლამისაა ეროვნული დღესასწაული ახლადა გამახსენდა.

ტრიუმფატორი კალათბურთელები ბელგრადის აეროპორტს სწორედ მაშინ მოადგნენ, როცა ქართველები აეროპორტშივე საპასპორტო საქმეებით ვიყავით დაკავებულნი. აბა, მაშინ უნდა გენახათ, აქ რა ხდებოდა. ეროვნული დროშები, ნაირ-ნაირი ლოზუნგები, მანქანათა გამაყრუებელი საყვირები... ყველაფერი კი, ისევ და ისევ აეროპორტიდან დაიწყო. საპრესკონფერენციო ოთახი ჟურნალისტებით აივსო, ათობით ვიდეოკამერა, მიკროფონები, აეროპორტის თანამშრომლები, ჩინოსანნი თუ უჩინონი, ყველანი გმირებს ელოდნენ. დამხვედრთა შორის კი, ერთ წვერა, ათლეტური აღნაგობის კაცს გამოვარჩევდი. ის ვლადე დივაცი გახლდათ, კალათბურთელი, რომლის სახელსაც აქაურები თითქმის ყველა დიდ მიღწევას უკავშირებენ. კოლეგათა ალყაში მოქცეულს კი დავუპირე ორიოდ სიტყვით მიმემართა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, მისკენ სავალი გზა საკმაოდ გამიგრძელდა, ხოლო როცა მივუახლოვდი, მხარზე ხელის შეხებამ გამაჩერა, პოლიციელი იყო, აქაურობას სასწრაფოდ გაეცალეთ, აი, თვითმფრინავი, გმირები მოვიდნენ, ადგილი გაათავისუფლეთო. თხუთმეტ წუთში კი, ნულა იტყვით, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო...

მოკლედ, ბელგრადში დიდი დღესასწაულია. აქაურს, მგონი, სულ რომ შეაგინო, გაგიღიმებს, ხომ მაგრები ვართო, გეტყვის. დიდიან-პატარიანად ყველა ზეიმობს, ყველა ტელეარხი ერთთავად იუგოსლავიელთა მიერ რუსების ძლევის ფრაგმენტებს აჩვენებს და რევოლუციის პროსპექტზე (ჩვენებური რუსთაველი) ათენიდან ჩამოტანილი თასით ხელში გახარებულ კალათბურთელთა ლხენას. ხვალაც ასე თუ გაგრძელდა, აღარ ვიცი, სასტუმრო „მეტროპოლიდან", რომელიც ამავე პროსპექტზე მდებარეობს, ალბათ, ვერც მე, ვერც „ბათუმის" ფეხბურთელები ცხვირს ვეღარ გავყოფთ, უბრალოდ, ქუჩაში ნემსის ადგილიც არაა. სამაგიეროდ, არის გამაყრუებელი ყიჟინა, ზედახორა და დროშების ფრიალი, რომელთა შორისაც დაკვირვებული თვალი „პარტიზან" — „ცრვენა ზვეზდას" საკლუბო ალმებს ბლომად გამოარჩევს. გუშინ, „ცრვენა ზვეზდას" ერთ ქომაგსაც გადავეყარე, რომ იცოდეთ, როგორ ველი 13 აგვისტოს, თქვენები „პარტიზანს" ხომ გადაუვლიანო, ამ სიტყვებით მომესალმა შუბლწაკრული ახალგაზრდა. კი-მეთქი, რომ ვუთხარი, სიხარულით ცას ეწია, აბა, თქვენ იცით, ნახევარი ბელგრადი „ბათუმს" გულშემატკივრობსო — მიპასუხა. მე კი იქაურობას სასწრაფოდ გავეცალე, რადგანაც ხუთიოდ მეტრში თეთრ-შავები შევნიშნე, ბლომად იყვნენ და აღალად ვიტყვი, შემეშინდა კიდეც.

...მართლაც რომ შუღლია წითელ ვარსკვლავებსა და პარტიზანებს შორის. როცა „ბათუმის" მეტოქის წარმომადგენელს სიტყვა აკრედიტაციაზე ჩამოვუგდე, ეგ ყველაზე იოლად მოსაგვარებელი პრობლემააო, მითხრა, თუმცა მეორე კითხვის მოსმენისთანავე, ჩემი არ იყოს, სწრაფად მოკურცხლა, „ცრვენა ზვეზდა" — „როტორის" თამაშს ნუ გამაგონებო. არადა, მხოლოდ ის ვკითხე, ამ მატჩისთვის სათანადო საბუთის მისაღებად ვის მივმართო-მეთქი.

ახლა „ბათუმზეც". ზღვისპირელები ბელგრადს მოსკოვის გავლით გუშინ, 10 აგვისტოს ეწვივნენ, იმ დღეს, როცა სამი წლის წინ ბელგრადშივე იუგოსლავიის ახლანდელ ჩემპიონს 1:0 მოუგეს. სასტუმროზე უკვე გითხარით, ვარჯიშით კი ბათუმელებმა კვირას ივარჯიშეს, მოსკოვში, ცსკა-ს შესანიშნავ, მყუდრო, ახალგარემონტებულ სტადიონზე რომელიც არმიელთა ერთ-ერთმა ხელმძღვანელთაგანმა თენგიზ ვერძაძემ თანამემამულეებს „პარტიზანთან" გაჯიბრებამდე მოახმარა. ჭეიშვილმა ბიჭები არცთუ ისე მძიმედ დატვირთა, წინ რთული მატჩი გველისო, უთხრა შეგირდებს, მერე „დინამოსთან" სუპერფინალში დაშავებულ მინდაძეს „სთხოვა", 13-ში შენი იმედი მაქვს, ფეხი როგორმე მოიშუშეო. ფეხბურთელი კი მარჯვენას ძლივს ხმარობს, გასიებული კოჭი ბურთთან შეხების საშუალებას უკარგავს. ჰოდა, 95 პროცენტი მინდაძე ზეგ ვერ ითამაშებს, მიუხედავად მწვრთნელის სურვილისა. დანარჩენები კარგად არიან, უმნიშვნელო ტრავმებს თუ არ ჩავთვლით, ყველაფერი რიგზეა, ბიჭებს კი დიდი იმედი აქვთ, რომ პარტიზანებს ორი მატჩის ჯამში მოუგებენ, მიუხედავად იუგოსლავ კალათბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონობისა და „ცრვენა ზვეზდას" დაუნდობლობისა, რომელიც კოლხთა მიმართ გამოიჩინა.

მე კი მაინც ვეცდები, ვარსკვლავებისა და „როტორის" მატჩის აკრედიტაცია მივიღო, ოღონდ არა პარტიზანთა დახმარებით.

ბათუმელები იუგოსლავიას საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურში მარცხნაწვნევნი ეწვივნენ, პარტიზანები კი გამარჯვებულები დაუხვდნენ: შაბათს აქაური ჩემპიონატის პირველ ტურში ნისის „რადნიჩკი" 4:1 „აფეთქეს".

მცხეთა
8 აგვისტო
18 საათი
„არმაზი"
600 (ტევადობა 3000)

## თსუ 1:3 ტორპედო

0:1 ჯანაშია (19), 0:2 ვაშაკიძე (31), 1:2 ბახტაძე (73), 1:3 კვეტენაძე (84)
**თსუ:** მერლანი, გ. ილურიძე, ზამთარაძე (ქიაბრიშვილი 65), თ. კობიაშვილი, კ. სვანიძე, ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, ბახტაძე, ჭუმბურიძე (ნინუა 85), როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* ნიკურაძე, სულაძე, ინწკირველი, არჩვაძე
**ტორპედო:** ასლანიძე, თურმანიძე, ი. ვაშაკიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (იონანიძე), პ. ჯინჭარაძე, ჩხეტიანი, ჯანაშია, მეგრელაძე (ყიფიანი 70)
*სათადარიგონი:* ჩხაბერიძე, მამარდაშვილი, მ. ჯინჭარაძე
**გაფრთხილება:** ილურიძე (14), პ. ჯინჭარაძე (35), ყიფიანი (89)
**მსაჯები:** გ. ასკაროლლი (ქარელი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ქარქაშაძე (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** უ. ფურცელაძე

# მცხეთის ქალაქს ბურთი უყვარს

**კონსტანტინე გოგიშვილი** მცხეთიდან

გუშინწინდელი მატჩის პერიპეტიები ერთი, ხანში შესული მცხეთელი გულშემატკივრის გულისტკივილით გვინდა დავიწყოთ — ფეხბურთი კი გვიყვარს, მატჩებზე დასწრებაც არ გვესწავლება მცხეთელებს, მაგრამ აფიშა რაა, ერთ აფიშასაც ვერ ნახავთო ქალაქში, დაწერეთ, მამაშვილობას, თამაში როდის იწყება და ვინ თამაშობს, რომ ვერ გაგვიგია, ახლაც, აგერ სამი საათია ველოდებით მატჩის დასაწყისსო — ამად თუ იყო „არმაზის" სტადიონის მეხუთედიღა შეევსოთ მაყურებლებს.

მასპინძლები კი ერქვათ, მაგრამ მატჩამდეც ყველასთვის აშკარა იყო, ორიოდ კვირის წინ ბედ-იღბალ გადაწყვეტილი თსუ-ელები ბევრს ვერ გაუძლებდნენ მეათე ეროვნულის ერთ-ერთ ფავორიტს. სეზონისწინა პრობლემები არც ტორპედოელებს აკლდათ, მაგრამ მათდა საბედნიეროდ, უკვე ყველაფერი უკან დარჩა. გუნდმა შეინარჩუნა სტაბილური, ძლიერი შემადგენლობა და მოსალოდნელია, რომ „ტორპედო" თავის სათქმელს იტყვის ჩემპიონატში.

მატჩი მცირე, დაახლოებით ხუთიათწუთიანი დაზვერვით დაიწყეს გუნდებმა. პირველი წუთები ძირითადად მოედნის შუაგულში მიმდინარეობდა, მაგრამ მცოდნე თვალისთვის აშკარა იყო, „ტორპედო" მალე გამოაჩენდა კლანჭებს. ასეც მოხდა, მეექვსე წუთზე პაატა ჯინჭარაძის მეტად ლამაზმა რეიდმა პირველად შეაშფოთა თსუ-ს დაცვა. ქუთათურთა აქტიურ ოცდამეხუთე ნომერს მხარი ჩხეტიანმაც აუბა და მეთერთმეტე წუთზე ისეთი „უცხუნა" სტუდენტთა კარისკენ, თქვენი მოწონებული. უნივერსიტეტელები საბოლოოდ ჩადგნენ დაცვაში და აქა-იქ თუ ცდილობდნენ მეტოქეთა კონტრშეტევაზე დაჭერას. „ტორპედოს" მასირებულ შეტევებს ნელ-ნელა ემატებოდა სიმძაფრე. ვაჩიბერაძე, მეგრელაძე, განსაკუთრებით კი ჯანაშია სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ მოწინააღმდეგე გუნდის მცველებს. ნათლად ჩანდა, უგოლოდ დიდხანს არ გასტანდა და ასეც მოხდა.

მეცხრამეტე წუთზე ვაჩიბერაძის მარცხნიდან ჩაწოდებული სტუდენტების ერთ-ერთი მცველის თავიდან პირდაპირ გია მეგრელაძეს მიუვიდა, მანაც დაუყოვნებლივ დაუგორა საჯარიმოს წვერთან ჯანაშიას და ჯანომაც მოძრაობაში შეუჩერებლივ აულებელი დაურტყა მირზა მერლანს. ჭეშმარიტად მშვენიერი გოლი იყო.

საკუთარ კარში მიღებული ბურთის ბრალი იყო თუ რა, თსუ-ელები ოდნავ გააქტიურდნენ და ორიოდე წუთში ზამთარაძე ძლიერად, მაგრამ უზუსტოდ ურტყამს ასლანიძის კარისკენ. მეტოქეთა გააქტიურებამ კარგი სამსახური გაუწია ტორპედოელებს, ისინი დალაგდნენ, მცირე ხნით ტემპი დააგდეს და ძველებურად ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან აგრძელებდნენ სტუდენტთა შევიწროებას. ერთ-ერთ ეპიზოდში ვაშაკიძემ სოლო გარღვევა საჯარიმოში ზუსტი პასით დაამთავრა, ბურთი ვაჩიბერაძემ მიიღო, მეკარე დააწვინა და მარჯვენა მაღალ კუთხეში დაარტყა. გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ კარში მდგარმა მცველმა ხელით ითამაშა და მისგან ასხლეტილი ბურთიც ხარიხას მოხვდა. ყველა იქ მყოფი პენალტს ველოდით, ასკაროლლის სასტვენი კი რატომღაც დუმდა. ამან უარესად გაალიზიანა ტორპედოელები, ათიოდ წუთს შეუჩერებლივ უტევდნენ მეტოქეს. ამ დაწოლას მეორე გოლიც მოჰყვა — ერთ მომენტში მეკარე მერლანმა გამოსვლაზე კი დაასწრო მეგრელაძეს, მაგრამ ბურთიანად საჯარიმოს გარეთ დაეცა და ასკარ-ოლლიმაც უყოყმანო ჯარიმა დანიშნა. ვაჩიბერაძემ რბილად ჩააწოდა, სტუდენტები პოზიციურად შეცდნენ და იმერელთა ლიბერო ვაშაკიძემაც, ისარგებლა რა არეულობით, მშვიდად, აუღელვებლად გაიტანა მარცხენა ათიანში. 2:0 უკვე სოლიდური ფორა იყო, მით უმეტეს, ტაიმის ბოლოსთვის მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ და არც ქუთათურებს გამოუდიათ თავი, თუმცა კი არ შეიძლება არ აღინიშნოს პაატა ჯინჭარაძის ეფექტური, ძლიერი გარჯა. ამ ბიჭმა თუ ასე განაგრძო, ადვილი შესაძლებელია, ვოვა გუცაევის ყურადღებაც მიიპყროს.

მეორე ტაიმი დაიწყო და ორივე გუნდის ტაქტიკაც უმალ გაიშიფრა. იმერლები გასაგები მიზეზის გამო, დადგნენ და ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს თამაში, სტუდენტებს რაც შეეხებათ, პირველი ნახევრისგან განსხვავებით, უფრო ჟინიანად შეუტიეს და მოძრაობითაც უფრო მეტს მოძრაობდნენ. მათ რიგებში განსაკუთრებით კაკუბავა, როსტიაშვილი და ბახტაძე გამოირჩნენ. მატჩი „გაკეთებულად" არა მარტო „ტორპედოს" ფეხბურთელებმა, ხელმძღვანელობამაც მიიჩნია და სოსო ფრუიძემ აქტიური შემტევი ნახევარმცველი ვაჩიბერაძე თავდამსხმელ იონანიძით შეცვალა. სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო, იონა ნამდვილად არ არის ფორმაში და ამ ცვლილებამაც მეტად გაუხსნა ხელ-ფეხი თსუ-ელებს. მოსახდენიც მოხდა — ერთ-ერთი მორიგი შეტევისას, კარისკენ ზურგით მდგარმა ჭუმბურიძემ მეტად ლამაზი, მოჭრილი პასით ბახტაძე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და მანაც ხელიდან არ გაუშვა შანსი. მატჩის ბოლომდე კიდევ ჩვიდმეტი წუთი რჩებოდა და რა გასაკვირი იყო, იმედმოცემულმა ოთარ გაბელიამ გამამხნევებლად შეუძახა აღსაზრდელებს. საფრთხე იგრძნეს თუ არა, ქუთათურებმა ტემპს მოუმატეს, სივრცეები შეზღუდეს და სტუდენტებიც ძველებურად ველარ დასეირნობდნენ ქუთაისელთა კარის სიახლოვეს. გადაღლილი გია მეგრელაძის ნაცვლად მინდორზე გამოსული ყიფიანი კარგად ჩაერთო თამაშში და ერთი ისეთი მრავალსვლიანი კომბინაცია გააცუდა, მთელს „არმაზს" ოხვრა აღმოხდა. არადა, ლამაზი კი იყო მისი, ჯანაშიას, იონანიძის და კვეტენაძის მიერ ძირს დაუშვებლად, ერთი შეხებით გათამაშებული ბურთი.

თამაში მიწურულს ისევ დამდოვრდა. ცა ღრუბლებით დაიფარა და ოდნავ ჩამობნელდა კიდეც. არ ვიცით, ამის ბრალი იყო თუ რა, ჩხეტიანის მიერ მარცხნიდან სუსტად ჩაწოდებული ბურთი მეკარე მერლანმა გვიან დაინახა, ხელიდან გაუსხლტა და პირდაპირ კვეტენაძეს მიუგორდა. კვეტენაძემაც არ დააყოვნა და მთელი მატჩის მანძილზე მისთვის უჩვეულო პასიურობა გოლით გამოისყიდა, თან საბოლოო წერტილიც დაუსვა მატჩს.

„ტორპედომ" პირველი გამარჯვება იგემა, თსუ-მ პირველი მარცხი. ჩვენ კი რითაც დავიწყეთ, იმითვე დავამთავრებთ — გააკარით საფეხბურთო აფიშები მცხეთაში.



პაატა ჯინჭარაძეს (№25) არც დავით ცომაიას „პადკატები" აფრთხობდა

ბოლნისი
8 აგვისტო
18 საათი
„თემურ სტეფანია"
2000 (ტევადობა 3000)

## სიონი 2:2 გურია

0:1 მელაძე (43), 1:1 შაკიაშვილი (75), 1:2 მელაძე (86), 2:2 შაკიაშვილი (90)
**სიონი:** დალაქიშვილი, გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ძნელაძე, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, პოზოიანი, გ. ჯაფარიძე (გაგუა 46), ჯაგიდისი (ქობელაშვილი 63), მოსეშვილი (გოგოლაძე 46)
*სათადარიგონი:* ფოფხაძე, ბერიძე, დ. სვანიძე, ფ. არჩვაძე
**გურია:** გოგუა, კაკაჩია, კუკულაძე, ი. ბუხრიკიძე, ინიაშვილი (იობიძე 80), ლორია, ფაცურია (ზ. კვეკვესკირი 68), გიორგაძე (თბილაშვილი 68), დ. მახარაძე, მელაძე, ბულუხია
*სათადარიგონი:* ჩიკვილაძე, პატარაია, ვარდანიძე
**გაფრთხილება:** ინიაშვილი (18), ბულუხია (36), თ. სამხარაძე (61), კვეკვესკირი (71), გაგუა (78), გოგუა (87)
**გაძევება:** ბულუხია (55)
**მსაჯები:** თ. ლორთქიფანიძე, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი)
**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. ანთიძე

# შაკიაშვილი — მელაძე 2:2

**ხვიჩა სანიკიძე** ბოლნისიდან

სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ეს მატჩი გაიმართებოდა. ორივე გუნდმა მოსამზადებელი ეტაპი, ფაქტობრივად, ჩააგდო და მათ თავკაცებს შეხვედრის გადადება უფრო აძლევდათ ხელს. თუ „გურია" ჯონი ჯანელიძემ 20 ივლისს ჩაიბარა და რამდენიმე საკონტროლო თამაშიც მოასწრო, „სიონის" ახალი მწვრთნელი, ბორის დუდაური 10 დღეა, რაც გუნდში მივიდა და ერთი ხეირიანი ვარჯიშის ჩატარებაც ვერ მოახერხა.

გემახსოვრებათ, მეცხრე ჩემპიონატის პირველ ჯგუფში დარჩენისთვის „გურია" და „სიონი" ერთმანეთს გადათამაშებაში შეხვდნენ და მაშინ გურულებმა იმარჯვეს. ბოლნისელებს კი ხაშურის „ივერიასთან" თერთმეტმეტრიანებით გამარჯვებამ უშველა. ასე რომ, „სიონი" რევანშისთვის ემზადებოდა. შარშან გაჭირვებულ დღეში მყოფი ბოლნისელები იმედიანად ესტუმრნენ თბილისს და ქულას ითხოვდნენ — „მერანისგან", მაგრამ ჯანელიძემ ცივი წყალი გადაასხა „სიონს" და 4:0 მოუგო. ესეც ახსოვდათ ბოლნისში.

წარმოიდგინეთ, რა წინასამატჩო განწყობილება იქნებოდა „თემურ სტეფანიას" სტადიონზე: ჩამოდის „გურია" და მის თავკაცად ჯონი ჯანელძე გვევლინება. რომელ მსაჯს, სფფ-ს წარმომადგენელს ან ჟურნალისტს გაუჩნდებოდა ბოლნისში წასვლის სურვილი. თუმცა ფედერაციამ გასაწირი ხალხიც გამონახა და ამ საქმეში ხელებიც დაიბანა.

და დაიწყო ნერვების თამაში.

შეხვედრის პირველივე წუთებიდან ბოლნისელები დაეუფლნენ უპირატესობას და უფრო ხშირად აწუხებდნენ სტუმართა მეკარეს, ვიდრე „გურია", რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში დაცვით ფეხბურთს თამაშობდა და ძირითადად კონტრშეტევების იმედად იყო. რაც შეეხება „სიონს", მისი თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მინდორზე შეუთანხმებლად მოქმედება, არაკომბინაციური სტილი, მხოლოდ სტანდარტული მდგომარეობების გათამაშებით სახიფათო მომენტების შექმნის მცდელობა, აი, ყოველივე ის, რითაც ბოლინსის გუნდი ამ დღეს წარმოჩინდა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა, მართალია, სულ შეტევებში გალიეს, მაგრამ საგოლე მომენტი მხოლოდ 30-ე წუთზე შექმნეს, როცა მოსეშვილმა საჯარიმოში დაუგდო ბურთი ჯაგიდისს და ჯონიმ 3 მე[illegible] ვერ შეძლო კარის დალაშქვრა. [illegible] კი იყო საჯარიმოებიდან და კუთხურებიდან ჩაწოდებული ბურთები და ორჯერ შაკიაშვილისა და ერთხელაც ძნელაძის სახიფათო თავური დარტყმები. ამ მომენტისთვის შეხვედრის მსაჯი პრინციპულად მოქმედებდა, თუმცა დაძაბულობა ეტყობოდა. ზოგიერთ შემთხვევაში საეჭვო გადაწყვეტილებებს იღებდა მასპინძელთა სასარგებლოდ.

„გურიას", რომლის შემადგენლობაშიც ფოთის „კოლხეთის" რამდენიმე ვეტერანი ვიხილეთ, ამჯერად უპირატესობა ჰქონდა ფიზიკურ კონდიციებში და სათამაშო ტაქტიკურ დისციპლინაში. ჯანელიძის შეგირდებმა შეგნებულად დაუთმეს ცენტრი მასპინძლებს და „სიონის" უვარჯიშებელი ფეხბურთელების დაღლას დაელოდნენ. ასეც მოხდა. არაქათგამოცლილი ბოლნისელები ტაიმის მიწურულს შესვენებაზეღა ფიქრობდნენ და ოდნავ მოეშვნენ. ამით ისარგებლეს სტუმრებმა. ბუხრიკიძე ძალისმიერად შეებრძოლა ყიფშიძეს, რომლისგან მოგერიებულ ბურთსაც დავით მახარაძე დაეუფლა და საჯარიმოში მარცხნიდან შესული მელაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა. ამ უკანასკნელმა ოსტატურად გადაატარა ბურთი კარიდან გამოსულ დალაქიშვილს და ანგარიშიც გაიხსნა.

მეორე ტაიმი დუდაურმა ორი შეცვლით დაიწყო. თამაშში ჩართულმა მარცხენა გარემარბმა გაგუამ შედარებით გაამწვავა მასპინძელთა შეტევები. თუმცა მეორე ნახევრის დასაწყისი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მეტიც, გურულებს კიდევ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. მელაძემ, რომელიც შაბათს შეუდარებელი იყო, საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა სახიფათოდ. ბურთი ძელმა მოიგერია. 55-ე წუთზე მეტოქის ნახევარზე ბულუხიამ უხეშად ითამაშა, მსაჯმა სამართლიანად გააფრთხილა იგი და მეორე „ყვითლის" გამო მინდორი დაატოვებინა. აქ კი იქუხეს ბოლნისელმა გულშემატკივრებმა და „სიონს" ქულის გადარჩენის შანსი მიეცა. ჯანელიძემ არ დაახანა და ერთდროულად ორი შეცვლა გააკეთა, დუდაურმაც ვეტერანი ჯაგიდისი არანაკლებ გამოცდილი ქობელაშვილით გამოცვალა. სტადიონზე სიტუაცია თანდათან იძაბებოდა. ლორთქიფანიძემ, დენთის სუნი იგრძნო თუ არა, ქობელაშვილის წაქცევისთვის აშკარად საეჭვო ჯარიმა დანიშნა. 22 მეტრიდან „სიონის" მცველმა, არჩილ შაკიაშვილმა ცხრიანში უძლიერესი და უმშვენიერესი დარტყმულით წონასწორობა აღადგინა. ბოლნისელებს მადა მოუვიდათ და მოგებაზეც დაიწყეს ფიქრი. გამარჯვებას კი ისინი ნამდვილად არ იმსახურებდნენ, რადგან მთელი მატჩის განმავლობაში მეტად ქაოსურად მოქმედებდნენ და ერთი ხეირიანი კომბინაციაც ვერ აჩვენეს თავიანთ ქომაგებს. ფანების იმედად მყოფმა გაგუამ ხელითაც კი გაიტანა ბურთი „გურიის" კარში, მაგრამ მსაჯმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ფეხბურთელი ყვითელი ბარათით დასაჯა. თუმცა ქობულაშვილის აქტიურობის შედეგად ისევ გაგუამ მოახერხა და მეტად ეფექტურად, ვარდნაში გაისროლა სტუმართა კარისკენ — ბურთი ძელს მოხვდა. თითქოს ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდებოდა, მაგრამ მელაძე, რომელსაც ბოლნისელები ძალიან ხშირად ეუხეშებოდნენ და მსაჯი რატომღაც სიტყვიერი გაფრთხილებებით კმაყოფილდებოდა, არ ცხრებოდა: 85-ე წუთზე მან მოედნის ცენტრიდან მიიღო ზუსტი პასი, კარისკენ შებრუნდა და დალაქიშვილს მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა. უმცირესობაში დარჩენილი „გურია", რა თქმა უნდა, ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა და დროის გაყვანაც დაიწყო, რისთვისაც მსაჯმა ლანჩხუთელთა მეკარე გააფრთხილა კიდეც. წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა სტადიონზე, „სიონს" რომ ანგარიში ვერ გაეთანაბრებინა. ბოლნისელები შტურმზე გადავიდნენ, მაგრამ სტუმართა მცველები თავგამოდებით იცავდნენ თავს და ხშირად ახსენებდნენ ლორთქიფანიძეს, შეხვედრის დრო ამოიწურაო. სათადარიგო მსაჯმა, 3 წუთს ვამატებთო, აჩვენა და მონასტერიც აირია. ლორთქიფანიძე ისე გაერთო მასპინძელთა შეტევებით, აშკარად დაკარგა დროის შეგრძნება და თვით თამაშის სადავეებიც. მარცხენა ფლანგიდან აუტიდან საჯარიმოში ჩაგდებული ბურთი შაკიაშვილს მიუვიდა, რომელმაც ისარგებლა მცველთა დაბნეულობით და ანგარიშიც გაათანაბრა. აქვე გაისმა საფინალო სასტვენიც.

ფიფას წესებით, დამატებული დრო ასე განისაზღვრება: ტაიმში გაკეთებულ თითოეულ შეცვლაზე 30 წამი ემატება. „სიონი" — „გურიას" შეხვედრაში 6 ცვლილება მოხდა. აქედან მასპინლებმა მეორე ნახევარში თამაშის დროს ერთი, ხოლო სტუმრებმა სამი (აქედან ერთხელ ერთდროულად) ფეხბურთელი შეცვალეს. ესე იგი, შეცვლებს სულ წუთნახევარი დასჭირდა. რაკი მატჩის მსვლელობაში სამედიცინო პერსონალი არ ჩარეულა, მაქსიმუმ 2 წუთი უნდა დამატებულიყო. ასე რომ, გადამეტებული ერთი წუთი საეჭვოა. თუმცა შეხვედრის ხანგრძლივობას მაინც არბიტრის წამზომი განსაზღვრავს და ფეხბურთელებიც ვალდებულნი არიან, მისი საფინალო სასტვენის ხმას დაელოდონ და მინდორზე ბოლომდე იბრძოლონ.

გუშინ არაობიექტური მსაჯობით უკმაყოფილო გურულთა თავკაცმა ჯონი ჯანელიძემ ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში სარჩელი შეიტანა და მატჩის შედეგი გააპროტესტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავი
8 აგვისტო
18 საათი
„ფოლადი“
200 (ტევადობა 10700)

**გორდა 1:1 დილა**

0:1 თაყაძე (41), 1:1 მენთეშაშვილი (84)
კ. ალადაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (78)
**გორდა:** ბედიაშვილი, ხუჯაძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, ზ. ლაბაძე (მჭედლიძე 46), ლ. ალადაშვილი (დ. მენთეშაშვილი 46), კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* მ. ქორიძე, დ. წიკლაური, კოპალიანი
**დილა:** მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, მაისურაძე (გუდურაშვილი 53), მარეხაშვილი (აკოფიანი 61), ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, შატაკიშვილი (ჩიტაია 87), თაყაძე, ლ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, ახალკაცი
**გაფრთხილება:** თაყაძე (54), კაიდარაშვილი (63), ციცქიშვილი (81)
**მსაჯები:** ე. სილაგავა, კ. თბილელი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ბ. ქარქაშაძე

# გვარჯილა მაინც მოეყარათ

**პაატა კვანტალიანი** რუსთავიდან

შაბათს ახალი საფეხბურთო სეზონი რუსთავშიც დაიწყო, თუმცა ნახევარსაუკუნოვან იუბილარ ქალაქში ასევე საიუბილეო ჩემპიონატის მაჯისცემა საერთოდ არ იგრძნობოდა. თამაშამდე რუსთავში წამლად ერთ აფიშასაც ვერ ნახავდით. „ფოლადზეც“ ბოლო დროის კვალობაზე მაყურებელთა „სარეკორდო“ რაოდენობა — დაახლოებით ორას კაცამდე მოგროვდა. თვლაც კი მიძნელდება, მერამდენედ შეიცვალეს რუსთაველებმა სახელი. ბოლო მომენტში გადაწყვეტილა, რომ გუნდი ახალ ჩემპიონატში „მეტალურგის“ ნაცვლად „გორდას“ სახელწოდებით იასპარეზებს. თუმცა სახელშეცვლილ რუსთაველთა მაისურებზე შარშანდელივით „ფ.კ. „რუსთავი“ იკითხებოდა.

მატჩი ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე (კაპიტნების მიერ ეროვნული დროშის აღმართვას თუ არ ჩავთვლით) დაიწყო. მასპინძლებმა დასაწყისშივე მოიპოვეს ტერიტორიული უპირატესობა. რუსთაველთა ყველა შეტევის სულისჩამდგმელი რუსეთიდან ახალდაბრუნებული ვალერი კილასონია იყო. თავისუფლად შეიძლებოდა, მატჩის პერიპეტიების მაგივრად ამ ფეხბურთელზე დაგვეწერა, რადგან ის რომ არა, მოსათხრობი თითქმის არაფერი იქნებოდა. კილასონია იყო ყველგან, აკეთებდა ყველაფერს, რაც მოესურვებოდა, იოლად ატყუებდა 3-4 მეტოქეს, საგოლე პოზიციებში გაჰყავდა პარტნიორები. იგი არ ასრულებდა კონკრეტულ ფუნქციას, უბრალოდ, თამაშობდა იქ, სადაც საჭირო იყო. 24-ე წუთზე მისი ჩაწოდებით ლაშა ალადაშვილმა ვერ იხეირა, ახლო მანძილიდან მისი დარტყმული ბურთი მდივანმა მოიგერია.

გორელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მეტოქის უპირატესობისა, მათ არ მიუმართავთ ყრუ დაცვისთვის, პირიქით, პოზიციურად თითქმის უშეცდომოდ თამაშობდნენ და დროდადრო მწვავე კონტრიერიშებსაც ახორციელებდნენ. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის დროს კაიდარაშვილმა გამოზომილი პასით ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა თაყაძე და ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. ამ მომენტში აშკარად შეცდა ახალგაზრდა ბედიაშვილი — მას ნახტომი დაუგვიანდა. დარჩენილი დრო მასპინძლებმა შეტევებში გაატარეს. 44-ე წუთზე ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შესრულების დროს გორელები შეცდნენ, კილასონიამ საუცხოო პასით მეკარესთან ერთი ერთზე გაიყვანა კახა ალადაშვილი, მაგრამ მისი უძლიერესი დარტყმული მდივანმა სასწაულებრივად მოიგერია. ტაიმის ბოლო წუთზე რუსთაველებმა გოლიც გაიტანეს, მაგრამ ორდენიძემ სამართლიანად დააფიქსირა თამაშგარე მდგომარეობა.

მეორე ნახევარში „გორდას“ მწვრთნელმა ნაყოფიერი შეცვლები განახორციელა — მჭედლიძე და მენთეშაშვილი აქტიურად ჩაერთვნენ თამაშში. 47-ე წუთზე კილასონიას კუთხურიდან ჩაწოდებულს მენთეშაშვილი დაუხვდა, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა. ხუთი წუთის შემდეგ მშვენივრად ითამაშა კილასონიამ, მან სამმეტრიან მონაკვეთში 4(!) მცველი მოატყუა. მეკარესთან პირისპირ გასული კი მოცელეს, თუმცა სილაგავას სასტვენი დუმდა. 63-ე წუთზე „გორდას“ გორელთა იშვიათი კონტრშეტევა გამოეპარა, საკუთარ საჯარიმოში კაიდარაშვილთან ორთაბრძოლისას ბურნაძემ მეტისმეტი მოინდომა და მსაჯს კინაღამ თერთმეტმეტრიანი გამოსტყუა. სილაგავამ მასპინძლები დაინდო, კაიდარაშვილის პროტესტი კი ყვითელი ბარათით ჩააცხრო. 68-ე წუთზე „გორდამ“ მწვავე შეტევა განახორციელა. ზირაქაძის ჩაწოდებული ტარტარაშვილმა ახლო მანძილიდან თავით გადაგზავნა კარში, ძლიერად დარტყმული ბურთი მდივანს მოხვდა და კუთხურზე გავიდა. ათ წუთში კილასონიამ ზირაქაძესთან კედელი გაითამაშა, უპრობლემოდ მოატყუა რამდენიმე მეტოქე და მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ კარში დარტყმამდე იგი წააქციეს და სილაგავამაც უყოყმანოდ მიუთითა საპენალტო ნიშნულისკენ. თერთმეტმეტრიანი კახა ალადაშვილმა შეასრულა, მაგრამ მდივანმა ჩინებულად მოიგერია ბურთი, დამატებულზე კი მცველებმა ივარგეს. რუსთაველთა მონდომებამ შედეგი მაინც გამოიღო, 84-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან კილასონიას მორიგი რეიდი საჯარიმოში ჩაწოდებითა და მენთეშაშვილის ეფექტური გოლით დასრულდა. ბოლო წუთებზე სილაგავამ კიდე ერთხელ დაინდო მასპინძლები გამოსვლაზე ბედიაშვილი შეცდა და კრივის ილეთით მეკარესთან პირისპირ გასული თაყაძე ძირს დასცა. შეხვედრის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელი მეტნაკლებად კმაყოფილი იყო თამაშით, მაგრამ რუსთაველებმა საყვედური გამოთქვეს მამუკა ქორიძის მიმართ. „გორდას“ მეკარე განაცხადში კი იყო შეყვანილი, მაგრამ ოჯახური პრობლემების გამო მატჩზე დროულად ვერ ჩამოვიდა.

მოკლედ, სულ ეს იყო. ჰო მართლა, „ფოლადის“ სტადიონის მინდვრის საფარი ტრადიციულად უხარისხო, ამასთან, დაუხაზავიც იყო. მატჩის ბოლოს კი გორელები ხუმრობდნენ, ამ დალოცვილებს ცარცი თუ არ ჰქონდათ, გვარჯილა მაინც მოეყარათ მინდვრისთვისო.

# დილა

საბოლოო ადგილი წინა ჩემპიონატში: მეცხრე

## დილა დასარჩენად იბრძოლებს

**ტრანსფერი 98**

**წავიდნენ**

| | |
|---|---|
| ხორგუაშვილი | *ლოკომოტივი* |
| მარლიშვილი | *ლოკომოტივი* |
| ბალაშვილი | *ლოკომოტივი* |
| თარხნიშვილი | *ლოკომოტივი* |
| მ. მინდიაშვილი | *ლოკომოტივი* |
| რევაზიშვილი | *კრილია, რუსეთი* |
| ხ. გაგნიძე | *ცხინვალი* |
| ჯ. გაგნიძე | *თამაში მიატოვა* |
| ტაბატაძე | *თამაში მიატოვა* |

**მოვიდნენ**

| | |
|---|---|
| სამხარაძე | *ცხინვალი* |
| ფეზუაშვილი | *მეტალურგი* |

წინა საფეხბურთო სეზონი გორის „დილამ“ მეტ-ნაკლებად წარმატებულად ჩაატარა. გემახსოვრებათ, ეროვნული თასის გათამაშების ნახევარფინალში გუნდმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია თბილისის „დინამოს“ და ორი მატჩის ჯამში უშელავათო ბრძოლაში დამარცხდა. ჩემპიონატშიც გორელთა მიერ ნაჩვენები შედეგები, მათი პოტენციალიდან გამომდინარე, სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ. წლევანდელ ჩემპიონატს კი კლუბი საგრძნობლად იერშეცვლილი შეხვდა. გორის „დილას“ დღევანდელ მდგომარეობაზე გუნდის ახალ თავკაც *ვანო თაყაძეს* გავესაუბრეთ

— ჩემი გუნდში მოსვლა საკმაოდ ცუდ დროს დაემთხვა — „დილას“ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი დამხვდა. ამის გამო აქცენტის გაკეთება მთლიანად ახალგაზრდებზე მომიხდა. კიდევ კარგი, გუნდს ფარმ-კლუბიც ჰყავდა, რომელიც შარშან საქართველოს ჩემპიონატის მესამე ჯგუფში ასპარეზობდა. სწორედ მის ბაზაზეა შექმნილი ახლანდელი „დილა“.

**— მოსამზადებელ პერიოდზე რას იტყოდით?**

— საწვრთნელი ციკლი ძირითადად გორში გავიარეთ. 12 ივლისიდან ათდღიანი შეკრებაც გვქონდა სურამში. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ამხანაგური მატჩიც ჩავატარეთ — 2:1 და 0:1 ვითამაშეთ ხაშურის „ივერიასთან“. მანამდე სამტრედიის „იბერიას“ შევხვდით, მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. ბოლოს კი თბილისში 2:1 ვძლიეთ „ვიტ-ჯორჯიას“. მოკლედ, მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილი ვარ, იმედი მაქვს, სამომავლოდ გუნდი უფრო შეთამაშდება და შეიკვრება.

**— ფინანსური პრობლემა მეტნაკლებად ყველა გუნდს აწუხებს. თქვენთან როგორი მდგომარეობაა?**

— ქალაქის ხელმძღვანელობის დიდი მადლობელი ვარ. უყურადღებოდ ნამდვილად არ გვტოვებენ. მათ გაითავისეს ჩვენი პრობლემები და მაქსიმალურად ცდილობდნენ, გვერდში ამოგვიდგნენ. მათი წყალობით ჩვენს გუნდს ელემენტარული პრობლემები გადაჭრილი აქვს. თუ ასე გაგრძელდა, ვფიქრობ, წარმატებები არ დააყოვნებს.

**— გუნდის დღევანდელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რა მიზანს ისახავთ წლევანდელ ჩემპიონატში?**

— ძალიან ძნელია, ამ ახალგაზრდულ კოლექტივს უცებ დიდი შედეგები მოსთხოვო, ჩვენი ძირითადი მიზანი ათეულში მოხვედრა და შესაბამისად, ჯგუფში დარჩენა იქნება. ისე არ გამიგოთ, თითქოს თავს ვიზღვევდე. სამუშაო მეტად საინტერესო და ამავე დროს ხანგრძლივია. ვფიქრობ, მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და გორის „დილა“ თავის სიტყვას იტყვის. მერწმუნეთ, ამის თქმის საფუძველი ნამდვილად გამაჩნია.

*ეს ინტერვიუ რუსთავში, მასპინძლებთან პირველი ტურის შეხვედრის შემდეგ შედგა. ძნელია, მატჩის მნახველმა გორელთა თავკაცის ოპტიმიზმი არ გაიზიაროს. ვფიქრობ, ჩემპიონატის მანძილზე ეს ახალგაზრდული გუნდი ბევრ სიურპრიზს შემოგვთავაზებს. ვინ იცის, იქნებ მართლაც დაადგეს გორში ფეხბურთი აღორძინების გზას და ადგილობრივ უდავოდ ნიჭიერ მოთამაშეებსაც მშობლიურ ქალაქში მიეცეთ თავის გამოჩენის საშუალება.*

**პაატა კვანტალიანი**

მცხეთა
8 აგვისტო
18 საათი
ცენტრალური
2000 (ტევადობა 6000)

**ოდიში 0:1 იბერია**

0:1 ამაშუკელი (57პ)
**ოდიში:** ნაყოფია, კაკულია, ლურსმანაშვილი, კიპაროიძე ლ. ჯაბუა, კ. კვეკვესკირი, იოსავა, ჯოჯუა (თოლორაია 75), კუტალია, ჩიქობავა (ქურღულია 46), ჯურხაძე (შედანია 46)
**იბერია:** ა. ლაბაძე, სადილიანი (ნიკოლეიშვილი 66), ქობესაშვილი, გეგეშიძე, ს. გიგიაძე, ამაშუკელი, ჩომახიძე (მუმლაძე 75), ხუჭუა (ივეჩიანი 46), ვ. გიგიაძე, დარასელია, ბრეგვაძე
**გაფრთხილება:** ნაყოფია (27), ქურღულია (47)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; ჟ. მაჭარაშვილი (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ვ. პანოვი

# ის ოდიში აღარ არის!

**თენგიზ ძოწუა** ზუგდიდიდან

ეროვნული დროშა, ეროვნული ჰიმნი და ორი ათასამდე გულშემატკივარი... ასე, ყოველგვარი საზეიმო ცერემონიალის გარეშე გაიხსნა ზუგდიდში საიუბილეო, მეათე ჩემპიონატი.

ცხელი ივლისის შემდეგ დასავლეთში ჩამომდგარმა სიგრილემ მოთამაშეებს სასიამოვნო განწყობილება შეუქმნა.

მატჩი საშუალო ტემპში დაიწყო და მაშინვე გამოიკვეთა სტუმართა უპირატესობა. სამტრედიელთა ფიზიკურად და ტაქტიკურად კარგად მომზადებულმა გუნდმა პირველი წუთებიდანვე საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა და მთელი მატჩის განმავლობაში ყველა სათამაშო კომპონენტში დაჯაბნა მასპინძლები.

სასიამოვნო მოულოდნელობა იყო სტუმართა რიგებში გიორგი დარასელიას გამოჩენა. მთელი მატჩის განმავლობაში სწორედ „ძუკუს“ დაწყებული კომბინაციების შედეგად იქმნებოდა ყველაზე სახიფათო მომენტები მასპინძელთა კართან. მე-18 წუთზე ამაშუკელს შეეძლო ჩემპიონატის პირველი გოლი გაეტანა იბერიელთა რიგებში, მაგრამ საჯარიმოს მისადგომებიდან მისი ძლიერი დარტყმა ოდნავ ასცდა კარს. 30-ე წუთზე დარასელიამ შეძლო რამდენიმე ფეხბურთელის მოტყუება, მარცხენა ფრთიდან საჯარიმოს სახიფათოდ მიუახლოვდა, მაგრამ კარიდან გამოსულმა ნაყოფიამ მხოლოდ უხეში თამაშის წყალობით მოახერხა მისი შეჩერება, რის გამოც ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

სტუმართა გამუდმებულ იერიშებს ზუგდიდელები დროგამოშვებით კონტრშეტევებით პასუხობდნენ, მაგრამ ღირებული ვერაფერი შექმნეს. მხოლოდ ერთხელ, ლურსმანაშვილის სახიფათო გარღვევას შეიძლებოდა საგოლე დარტყმა მოჰყოლოდა, მაგრამ მის გადაცემას თანაგუნდელთაგან ვერავინ გამოეხმაურა.

მეორე ტაიმი „ოდიშმა“ შედარებით აქტიურად დაიწყო და მაყურებელს თამაშის სცენარის შეცვლის იმედი მიეცა, მაგრამ რამდენიმე წუთში ყველაფერი ისევ თავის ადგილზე დადგა.

ისევ დარასელია. შეცვლაზე შესულმა ივეჩიანმა სწორედ მისი ზუსტი გადაცემა ვერ შეირგო. მეკარესთან პირისპირ გასული ექს-ოდიშელის დარტყმა ნაყოფიამ ლამაზ ნახტომში მოიგერია. ზუგდიდელთა შორის სწორედ მეკარე იყო საუკეთესო ამ მატჩში.

ამ მომენტს მწვავე ჩხვლეტა მოჰყვა მასპინძელთა მხრიდან. ასევე შეცვლაზე შესული შედანია ორ მცველთან და მეკარესთან ბრძოლისას საჯარიმოში წაიქცა. თითქოს აშკარა თერთმეტმეტრიანის არდანიშვნამ დააბნია ზუგდიდელები და სტუმართა კონტრიერიშიც დაიწყო.

მარჯვენა ფლანგიდან ამაშუკელის გადაცემას ისევ ივეჩიანი გამოეხმაურა და თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მოცელეს, მაგრამ თანამსაჯს თამაშგარე მდგომარეობა უკვე დაფიქსირებული ჰქონდა. მთავარი და თანამსაჯის მოთათბირებას პენალტი მოჰყვა. ამაშუკელმა მარცხენა დაბალ კუთხეში აულებლად დაარტყა.

მოედანზე მუმლაძის გამოჩენამ მეტი სიმწვავე შემატა „იბერიას“ შეტევებს. მისი წამოწყებული იერიშის შემდეგ ამაშუკელი მარტოდმარტო აღმოჩნდა საჯარიმოში და 4 მეტრიდან ცარიელ კარში დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა.

მატჩის ბოლოს „ოდიშმა“ კიდევ ერთხელ გაიბრძოლა. კუტალიამ შეძლო მცველებს გაქცეოდა, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმა ლაბაძემ კუთხურზე მოიგერია.

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის თავკაცს და სამტრედიელთა ლიდერს გავესაუბრეთ.

*ბადრი ქორიძე, „იბერიას“ მთავარი მწვრთნელი:* მართალია, დღეს მოვიგეთ, მაგრამ გუნდის თამაშით ჯერ კმაყოფილი არ ვარ. კიდევ ბევრი რამე გვაქვს დასახვეწი. მომავლის დიდი იმედი მაქვს.

*ელგუჯა ქომეთიანი, „ოდიშის“ მთავარი მწვრთნელი:* გუნდი დატოვა ფეხბურთელების უმრავლესობამ, დანაკლისი ახალგაზრდა, გამოუცდელი მოთამაშეებით შევავსეთ. სეზონის წინ ნორმალური შეკრება არ გაგვივლია და ვგრძნობდი, რომ გაგვიჭირდებოდა, მით უმეტეს ისეთ გუნდთან, როგორიც „იბერიაა“, თუმცა, რომ არა მსაჯის შეცდომა, შეიძლებოდა დღევანდელი მატჩის შედეგი სულ სხვა ყოფილიყო.

*გიორგი დარასელია, „იბერიის“ ნახევარმცველი:* კარგი ბიჭები გვყავს. მეტი მუშაობა, შეთამაშება და „იბერია“ დიდი მიზნებისთვის იბრძოლებს. მე კი კიდევ ერთ თამაშში დავეხმარები გუნდს და ისევ უცხოეთში წავალ.



ჯანაშია „ლომელს“ წავა

# მშვიდობით კი არა, ნახვამდის!

მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეში და ინტერტოტოს თასის გათამაშებაზე ტორპედოელ დავით ჯანაშიას კარგი თამაშის გამო ეს სეზონი ამ ფეხბურთელის სპორტულ კარიერაში საუკეთესოდ უნდა მივიჩნიოთ. რომ არა ის ავადმოსაგონარი შინაური მატჩი ბელგიის „ლომელთან“, ვინ იცის, როგორც დატრიალდებოდა ჯანაშიას ბედის ბორბალი.

„სარბიელის“ მკითხველს არაერთხელ ვაუწყეთ, „ლომელის“ ხელმძღვანელობამ ჯანოს თვალი დაადგა და მის გადაბირებას ლამობსო. იმასაც ვწერდით, იქნებ „ტორპედოს“ ფორვარდმა კიდევ ერთი სეზონი მოითმინოს და იქნებ უკეთესი ტრანსფერი გაიჩარხოსო, მაგრამ როგორც გუნდის ხელმძღვანელობამ გვაცნობა, მიუხედავად მათი მცდელობისა, კიდევ ერთი წლით გაეხანგრძლივებინათ დათოსთან კონტრაქტი, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ფეხბურთელს საბოლოოდ გადაუწყვეტია ბელგიაში გადაბარგება. ჯანო, რომელმაც შაბათს მცხეთაში თსუ-ს კარში გატანილი ბრწყინვალე გოლით კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი, ამ დღეებში ლომელში ჩავა კონტრაქტის პირობების დასადგენად და ხელმოსაწერად. თუმცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ჯანაშია „ტორპედოს“ ერთ-ორ საჩემპიონატო ტურში კვლავ დაეხმარება საჭირო ქულების მოპოვებაში.

ბელგიელები სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებენ დათოსთან, მაგრამ ქუთათურთა კლუბის მესვეურებმა კონტრაქტში ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი შეიტანეს, რომლის თანახმად თუ წლევანდელ სეზონში „ლომელი“ ევროთასების საგზურს ვერ მოიპოვებს, ხოლო „ტორპედო“ ამას შეძლებს, ჯანო მშობლიურ ქალაქში დაბრუნდება და ყოფილ თანაგუნდელებთან ერთად გაირჯება ევროპულ სარბიელზე. ქუთაისელ ფანებსაც იმედად ისღა დარჩენიათ, რომ მათი გულისმომკვლელი „ლომელის“ უეფაზე ვერგასვლა ინატრონ.

მაშ ასე, 15 აგვისტოს, „ტორპედო“ — „კოლხეთის“ „გივი კილაძეზე“ გასამართ მეათე საიუბილეო ჩემპიონატის პირველ მატჩზე ქუთათური გულშემატკივრები კიდევ ერთხელ უქომაგებენ თავიანთ კერპს და წარმატებებს უსურვებენ. თანაც დააბარებენ — მომავალ საევროპო სეზონისთვის გელოდებითო.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ტორპედო საყრდენის ძიებაშია

შარშანდელ სეზონში ზუგდიდის „ოდიშში“ მოასპარეზე ნახევარმცველი 19 წლის კახა ებრალიძე, რომელიც თბილისის „დინამოში“ გადაბარგდა და ამ გუნდის მეათე საჩემპიონატო განაცხადშიც მოგვევლინა, მალე ქუთაისის „ტორპედოს“ ღირსებას დაიცავს. როგორც ქუთათურთა კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გვითხრა, მოლაპარაკება, ფაქტობრივად, დამთავრებულია და მალე ებრალიძე იმერთა გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებს. კახა, ალბათ, „ტორპედოს“ მიერ მოსაკლისებულ საყრდენად მოთამაშე შალვა ხუჯაძეს შეცვლის.

**ხვიჩა სანიკიძე**

# პირველი ტურის პასუხი

## საფრანგეთი

I ტური

**რენი 1:0 ოსერი**

1:0 უარდი (15)

**მარსელი 2:0 ნანტი**

1:0 რავანელი (47), 2:0 როი (90)

**ტულუზი 3:2 ლანსი**

0:1 ვაირლე (33), 1:1 მალმი (35), 1:2 დალმატი (55), 2:2 მაჰრაზი (68), 3:2 მერიდი (86 საჯ.კარში)

**სტრასბური 0:0 ლიონი**

**ბორდო 3:1 პსჟ**

1:0 ლასლანდი (55), 2:0 ჟილტორდი (56), 2:1 ოკოჩა (80), 3:1 ბენარბია (87)

**ბასტია 2:2 მონპელიე**

1:0 ანდრე (8), 1:1 სუზი (36), 2:1 ანდრე (90პ), 2:2 მულიდა (90)

**ნანსი 1:1 სოშო**

1:0 კასკარინო (65), 1:1 ფიავო (90)

**ლე ავრი 0:0 მეცი**

**ლორიანი 1:2 მონაკო**

1:0 ბუაფია (22), 1:1 გავა (47), 1:2 ჟიული (89პ)

საფრანგეთს გასულ სეზონში მოულოდნელი ჩემპიონი ჰყავდა — „ლანსი". ერთგვარ გაოცებას იწვევდა, როგორ აჯობა მან ქვეყნის დიდ კლუბებს და კერძოდ „პარი სენ ჟერმენს". „ლანსის" ტრიუმფი და პარიზელთა ჩამორჩენა შემთხვევითი იყო თუ არა, ამაზე პასუხს ახალი პირველობისგან მოელიან.

ახალი პირველობის პირველმა ტურმა კითხვას ასეთი პასუხი გასცა: ერთმაც და მეორემაც სტუმრად წააგეს. „ლანსმა" ტულუზში იწვნია მარცხი — 2:3, „პარი სენ ჟერმენმა კი ბორდოში ჩააკითხა თავისი ახალი მწვრნელის, ალან ჟირესის ფეხბურთელობის დროინდელ გუნდს და 1:3 წააგო. თანაც, ბორდოში, პირველსავე ტაიმში მსაჯმა მეტოქეებს წითელი ბარათის ძალით თითო მოთამაშე დააკლო და შესვენების შემდეგ ათკაცა გააჩალა.

35-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც „ბორდოს" კაპიტანმა მიშელ პავონმა პარიზელ ნახევარმცველს იან ლაშერს სარმა გამოსდო, რისთვისაც მეორე ყვითელი ანუ წითელი დაიმსახურა. მაგრამ გავიდა ათი წუთი და კოლეგის გზას „პარი სენ ჟერმენის" კაპიტანიც გაუდგა — ბრუნო კაროტომ მოწინააღმდეგის გამთამაშებელი ალი ბენარბია გაშოტა, იგიც პავონსავით მეორედ გააფრთხილეს.

ბენარბია „ბორდოში" „მონაკოდან" ახალგადასული კაცია. მას დებიუტი ჰქონდა, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაიარა.

მეორე ტაიმში, ერთი წუთის მანძილზე, მასპინძლებმა ორი გოლი გაიტანეს. თავიდან ლილიან ლასლანდმა გამოიჩინა თავი. მან სტუმრების გერმანელი მცველი კრისტიან ვიორნსი ჩამოიტოვა და დომინიკ კასაგრანდეს კარის შორეულ ძალალ ცხრიანს ზუსტად დაუმიზნა ბურთი. მეორე სილვიან უილტფორდმა გაიტანა.

რაკილა ზემოთ „პარი სენ ჟერმენის" გოლკიპერი ვახსენეთ, არ შეიძლება ბერნარ ლამას ავუაროთ გვერდი. ლამა გუნდის და ქვეყნის ნაკრების შეუცვლელი მეკარე იყო, რომელმაც ახალ შთაბეჭდილებათა ძიებაში ინგლისურ „ვესტ ჰემს" მიაშურა, სადაც ისე მყარად დასვეს სკამზე, რომ დღემდე იქიდან წამოდგომას ცდილობს. მოგეხსენებათ, ამ ზაფხულზე ლამა დაუბრუნდა „პარი სენ ჟერმენს", მაგრამ ჯერ იმდენად ნედლადაა, რომ „ბორდოსთან" შეხვედრაში სათადარიგოთა შორისაც კი არ ჰყავდათ.

„ბორდოს" ორი გოლის შემდეგ ერთი პარიზელებმა შეადგეს. სარეკორდო თანხად შეძენილმა ნიგერიელმა ჯეი-ჯეი ოკოჩამ ახალ გუნდში პირველი შეხვედრა (იგი თავიდან სათადარიგო იყო) გოლით გაილამაზა — 30 მეტრიდან მაღალ კუთხეში ზუსტად დაარტყა, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც „ბორდომ", უფრო ზუსტად კი გამთამაშებელმა ალი ბენარბიამ თქვა. თავისიანების მესამე და შეხვედრის მეოთხე გოლი მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში მან გაიტანა.

— ჩემპიონატის ამაზე შთამბეჭდავად დაწყებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ჩვენ ნამდვილი მებრძოლი სული გამოვამჟღავნეთ, განსაკუთრებით პავონის გაძევების შემდეგ. 2:0 რომ გახდა გავიფიქრეთ, რომ საქმე მოთავებულია და ეს მართლაც დიდი შეცდომა მოგვივიდა, მაგრამ საბედნიეროდ, თამაშის ბოლოს ძალთა გადანაწილება და გადაჯგუფება შევძელით — თქვა მატჩის შემდეგ „ბორდოს" მწვრთნელმა ელიე ბუპმა.

„პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელი ალენ ჟირესი: — გავწბილდი, რადგან ჩვენ ინდივიდუალური შეცდომების გამო წავაგეთ. ყველაფერი პირველმა გოლმა შეცვალა. მისი გაშვების შემდეგ ჩემმა ფეხბურთელებმა გონის მოკრება ვეღარაფრით მოახერხეს. ნამდვილად არ მეგონა, სამ გოლს თუ გავუშვებდით. მიუხედავად დამარცხებისა, ერთი თამაშით მთელს მომავალ სეზონზე საუბარი არ შეიძლება.

ტულუზში კი, მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ანგარიში 2:2 იყო. 86-ეზე „ტულუზის" ჟოზე გალდამესმა ჯარიმა დაარტყა. ბურთი „ლანსის" ცენტრალურ მცველს სავიერ მერიდს მოხვდა და საფრანგეთის ჩემპიონთა კარში შევარდა.

არადა, „ლანსი" შეხვედრაში ორჯერ დაწინაურდა.

კვლავ გამოჩნდა სარბიელზე იტალიელი თავდამსხმელი ფაბრიციო რავანელი, რომელიც, როგორც გახსოვთ, მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა ბოლოწამს შეყრილი რაღაც სნეულების გამო დარჩა. მან თავისი კლუბის, „მარსელის" პირველი გოლი გაიტანა ახალ სეზონში. რავანელის საგოლე პასი მსოფლიოს ჩემპიონმა რობერ პირესმა ჩააწოდა.

„მარსელის" მეტოქეს, „ნანტს" შეეძლო ანგარიშის გაქვითვა, მაგრამ რავანელის გოლიდან წამების შემდეგ გერმანელმა გოლკიპერმა ანდრეას კიოპკემ ფრედერიკ დაროშას დარტყმული საუცხოოდ მოიგერია.

მეორე გოლი მასპინძლებმა მსაჯის მიერ წამატებულ წუთზე გაიტანეს — ნახევარმცველმა ერიკ როიმ 30 მეტრის სიშორიდან მიაღწია მიზანს.

„მონაკომ" სტუმრად მოუგო პირველი დივიზიონის ახალ გუნდს, „ლორიანს". აქ მოულოდნელი არაფერია, სამაგიეროდ, მოულოდნელი გახლავთ მონაკოელი ფეხბურთელის, მსოფლიოს ჩემპიონის ტიერი ანრის მოთხოვნა, კლუბის ხელმძღვანელებს რომ წაუყენა, ინგლისის კლუბში, პრემიერლიგის ტიტულის მფლობელ „არსენალში" გამიშვითო.

როგორც ირკვევა, ანრის „არსენალის" ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი დაკავშირებია.

— მე „არსენალში" მინდა გადასვლა და სხვაგან არსად — განუცხადა ანრიმ ცნობილი ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის" კორესპონდენტს — ჩემი სურვილის შესახებ ყველას ნათლად ვუთხარი, დამალული არაფერი მაქვს. „არსენალს" ჩემი ყიდვა სურს და არც მე მინდა შანსის ხელიდან გაშვება. თანაც ჩემი მეგობრები, ნიკოლა ანელკა და პატრიკ ვიეირა იქ თამაშობენ. მათ მითხრეს, რომ „არსენალი" საგანგებო კლუბია და იქ თუ გადავალ, ბედნიერი კაცი ვიქნები. ნებისმიერი ფეხბურთელის კარიერაში შიგადაშიგ აუცილებელია ცვლილება.

ამასობაში „მონაკოს" პრეზიდენტმა ჟან ლუი კამპორამ განაცხადა, რომ კლუბში ლონდონიდან რაიმე ოფიციალური მოთხოვნა არ მოსულა, მიუხედავად იმისა, რომ ვენგერი იმტკიცება, „არსენალმა" ფაქსი გამოაგზავნაო.

აღსანიშნავია, რომ ანრის ყოდვით დაინტერესებულნი არიან ევროპის სხვა დიდი კლუბებიც, კერძოდ, „პარმა", „რომა", „ინტერი" და „ბარსელონა".

— ერთადერთი, რაც მინდა, „მონაკოს" რეზიდენტთან შეხვედრა და ყველაფრის გარკვევაა. სამწუხაროდ, ის ჩემთან საუბარს თავს არიდებს — დასძინა ანრიმ.

**ბაბუნა ძიძია**




დებიუტანტ „ლორიანის" თავდამსხმელი ალი ბუფია ცდას არ აკლებდა, რათა მსოფლიოს ჩემპიონ ფაბიენ ბარტეზის კარი აეღო

## შვეიცარია

V ტური

**ქსამაქსი 1:1 სერვეტი**

1:0 მოლისტი (3), 1:1 ფურნიე (55)

**სენტ გალენი 0:0 ციურიხი**

**იანგ ბოისი 0:1 ლუგანო**

0:1 გიმენეზი (55)

**ლოზანა 2:1 სიონი**

1:0 შაჰგელდიანი (1), 2:0 უდოვიჩი (3), 2:1 ბუი (22)

**ბაზელი 1:0 ლუცერნი**

1:0 ჩოპი (75)

ამ უქმეებზე შვეიცარიის ჩემპიონატის მეხუთე ტური გაიმართა, თუმცა „გრასჰოპერმა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩისთვის მზადების გამო „არაუს" ოთხშაბათს უმასპინძლა და როგორც გაუწყეთ 2:0 გაიმარჯვა.

ჩემპიონატში პირველი ქულები დაკარგა ერთპიროვნულმა ლიდერმა „სერვეტმა", რომელიც სტუმრად „ქსამაქსს" ეთამაშებოდა. „სერვეტი" უკვე მე-3 წუთზე აგებდა შეხვედრას, მაგრამ მეორე ტაიმში ფურნიეს გოლით ანგარიში გაათანაბრა და ქულა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებისთვის ეს ზედიზედ მეოთხე ფრე იყო.

პირველ ადგილზე აღზევების კარგი შანსი ვერ გამოიყენა „სენტ გალენმა", რომელმაც საკუთარ მოედანზე აუტსაიდერი „ციურიხი" ვერ დაამარცხა. არადა, სტუმრები მე-18 წუთზე ლიმას გაძევების გამო ათნი დარჩნენ, მასპინძლებმა კი ამით ვერ იხეირეს.

„ლოზანა" მე-3 წუთზე უკვე 2:0-ს უგებდა „სიონს". ანგარიში 47-ე წამზე სომხური წარმოშობის ფრანგმა შაჰგელდიანმა გახსნა, რომლისთვისაც ეს მატჩი ლოზანელთა შემადგენლობაში პირველი იყო. ორ წუთში უდოვიჩმა ანგარიში გაზარდა. „სიონმა" სხვაობის შემცირებაღა შესძლო და ზედიზედ მესამე მარცხს ვერ გადაურჩა.

მეექვსე ტური შვეიცარიაში მომავალ შაბათ-კვირას გაიმართება. ტურის ცენტრალური მატჩი კი „სერვეტი" — „სენტ გალენი" იქნება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:6 | 13 |
| სენტ გალენი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:5 | 11 |
| ლოზანა | 5 | 3 | 2 | 0 | 9:6 | 11 |
| გრასჰოპერი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:7 | 10 |
| ქსამაქსი | 5 | 1 | 4 | 0 | 4:3 | 7 |
| ბაზელი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:9 | 7 |
| ლუცერნი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 |
| არაუ | 5 | 1 | 1 | 3 | 9:11 | 4 |
| ლუგანო | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| იანგ ბოისი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| ციურიხი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | 2 |
| სიონი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:6 | 2 |

## რუსეთი

XX ტური

**სპარტაკი 3:1 ალანია**

0:1 ედუ (19), 1:1 ციმბალარი (22), 2:1 ტიტოვი (41პ), 3:1 კანიშევი (77)

**შინიკი 0:0 ზენიტი**

**ტიუმენი 1:3 ურალანი**

0:1 კორმილცევი (5), 0:2 ცარიოვი (42პ), 0:3 იგნატიევი (53), 1:3 იეგუნოვი (55)

**ცსკა 3:0 ჟემჩუჟინა**

1:0, 2:0 კულიკი (8, 35), 3:0 ფილიპენკოვი (80)

**როსტსელმაში 3:2 ჩერნომორეცი**

1:0 მატვეევი (5), 2:0 პესტრიაკოვი (37), 2:1 ბერეზნერი (53), 3:1 მატვეევი (85პ), ირისმეტოვი (90)

**ბალტიკა 1:1 კრილია**

0:1 ავალიანი (4), 1:1 ბულატოვი (12პ)

**ტორპედო 2:2 დინამო**

0:1 ტერიოხინი (4), 0:2 ნეკრასოვი (9), 1:2 სემშოვი (31), 2:2 ბულატოვი (55)

**როტორი 3:2 ლოკომოტივი**

1:0 კრივოვი (25), 2:0 ვერეტენნიკოვი (27), 2:1 თედეევი (49), 3:1 ოლენიკოვი (60), 3:2 ლოსკოვი (76)

ტურის ცენტრალური მატჩი მოსკოვში გაიმართა, სადაც გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „სპარტაკი" ვლადიკავკაზის „ალანიას" მასპინძლობდა. ჩვენი დაინტერესება ამ შეხვედრით იმით იყო განპირობებული, რომ ბოლო დროს საუცხოოდ ათამაშებულ ოსურ გუნდში ლიდერის როლის შემსრულებლად ჩვენებური გიორგი დემეტრაძე გვევლინებოდა და ყველას სურდა, ეხილა, მართლაც ასეთ კარგ ფორმაშია დემე თუ მისი შედეგიანობა (ბოლო ხუთ შეხვედრაში 7 გოლი) მეტოქეების მცველთა სისუსტის ბრალია.

უნდა ითქვას, რომ გიორგიმ, ისევე, როგორც მთლიანად „ალანიამ", შეხვედრა ურიგოდ როდი დაიწყო. ქართველი მარცხენა ფლანგიდან საკმაოდ მწვავედ უტევდა და კარგა გვარიანად ანერვიულებდა მცველ პარფიონოვს. დემეტრაძეს მხარი ორმა ბრაზილიელმა და პარი სენ ჟერმენიდან მოულოდნელად დაბრუნებულმა იანოვსკიმაც აუბეს. სწორედ ამ ოთხეულის დამსახურება გახლდათ ის, რომ პირველი ოცი წუთი სტუმართა უპირატესობით მიმდინარეობდა და ეს სამხრეთამერიკელი ედუს გოლის შემდეგ ანგარიშშიც აისახა. „ალანია" დაწინაურდა — 1:0.

თუმცა ამ მომენტიდან მოყოლებული სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ვლადიკავკაზელები რატომღაც დაცვაში ჩასხდნენ და საპასუხო გოლმაც არ დააყოვნა. ილია ციმბალარმა ოციოდე მეტრიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმით 22-ე წუთზე ლამაზი ბურთი ჩაახვია ხაპოვის კარში.

ტაიმის ბოლოს არბიტრმა, ცოტა არ იყოს, საეჭვო თერთმეტმეტრიანი დაუდო მასპინძლებს და მათ შესვენებაზე 2:1 წასვლის საშუალება მისცა, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. რომანცევის შეგირდები იმდენად თვალშისაცემ უპირატესობას ფლობდნენ, რომ იმ მომენტში თუ არა, სხვა შეტევებში მაინც იხეირებდნენ. ალანიელებსაც მსაჯის მიმართ სასაყვედურო არაფერი უნდა ჰქონდეთ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკითხავია, ჩემპიონობაზე პრეტენზიას როგორ უნდა აცხადებდეს გუნდი, რომელიც უპირველეს კონკურენტთან შეხვედრაში მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში მეტოქის მოედანზე თითქმის ვერ გადადის?

ბოლო ორმოცდახუთ წუთში გალაღებულ მასპინძელთა შეტევების ჩაშლას ყველაზე მეტად კიდევ მეორე ჩვენებური — მამუკა წერეთელი ცდილობდა, მაგრამ ერთ მომენტში ისიც უძლური იყო. თამაშის მიწურულს მეკარე ხაპოვის შეცდომა კარგად გამოიყენა შეცვლაზე შესულმა კანიშევმა და მესამედ დაამწუხრა ყოფილი თანაგუნდელები.

და დემეტრაძე? იგი მეორე ტაიმში სხვებივით ჩრდილში მოექცა, ხოლო დაახლოებით მე-60 წუთზე ქანცგაწყვეტილი (როგორც ამ დროისთვის ჩვევია ხოლმე) მოედნიდან საერთოდ გაიყვანეს.

ჩვენთვის კიდევ ერთი საინტერესო მატჩი პარასკევს ვოლგოგრადში გაიმართა. „როტორის" წინააღმდეგ მოსკოვის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ზაზა ჯანაშიაც გავიდა, მაგრამ სამწუხაროდ, გოლის გატანა არ დასცალდა. ზაზამ ერთ-ერთ ვოლგოგრადელთან შეჯახებისას შეხვედრის მე-15 წუთზე ხელის მძიმე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა. რკინიგზელები კი ჯანაშიას გარეშე ისე მრისხანედ ვეღარ გამოიყურებიან, ჰოდა, მასპინძლებმაც ისარგებლეს ჩვენებურის დაშავებით და მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიპოვეს სამი ქულა.

ქართველების მონაწილეობით გამართულ სხვა შეხვედრებში აღსანიშნავი არაფერი მომხდარა.

**ირაკლი ხმელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 20 | 13 | 5 | 2 | 39:13 | 44 |
| როტორი | 20 | 9 | 8 | 3 | 39:24 | 35 |
| ზენიტი | 20 | 9 | 8 | 3 | 29:14 | 35 |
| ლოკომოტივი | 20 | 9 | 5 | 6 | 23:16 | 32 |
| ალანია | 20 | 8 | 7 | 5 | 33:22 | 31 |
| როსტსელმაში | 20 | 8 | 7 | 5 | 30:26 | 31 |
| ურალანი | 20 | 8 | 6 | 6 | 25:21 | 30 |
| ჟემჩუჟინა | 20 | 8 | 5 | 7 | 21:24 | 29 |
| ცსკა | 20 | 7 | 5 | 8 | 27:20 | 26 |
| შინიკი | 20 | 7 | 5 | 8 | 18:22 | 26 |
| კრილია | 20 | 7 | 4 | 9 | 17:26 | 25 |
| ჩერნომორეცი | 20 | 4 | 9 | 7 | 25:28 | 21 |
| ტორპედო | 20 | 4 | 9 | 7 | 21:25 | 21 |
| ბალტიკა | 20 | 4 | 8 | 8 | 18:29 | 20 |
| დინამო | 20 | 3 | 10 | 7 | 16:23 | 19 |
| ტიუმენი | 20 | 1 | 1 | 18 | 8:56 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვერეტენნიკოვი (როტორი) | 16 |
| მატვეევი (როსტსელმაში) | 10 |
| ესიპოვი (როტორი) | 9 |
| ციმბალარი (სპარტაკი) | 9 |
| იანოვსკი (ალანია) | 8 |
| მაქსიმიუკი (ზენიტი) | 7 |
| გერასიმეცი (ზენიტი) | 7 |
| დემეტრაძე (ალანია) | 7 |

# მაინდ რა გინდა, ძმაო

ივან დე ლა პენია „ბარსელონადან" რომის „ლაციოში" გადავიდა და მიუხედავად იმისა, რომ ახალ გუნდში ჯერ ერთი თამშიც არ ჩაუტარებია, უკვე მის გაძლიერებაზე ფიქრობს. კერძოდ, ივანმა თავის ძველ თანაგუნდელსა და მეგობარს, ბრაზილიელ რონალდოს შეუთვალა მილანის „ინტერს" თავი დაანებე და „ლაციოში" გადმოდიო.

დე ლა პენიაში რომაელებმა 17 მილიონი დოლარი გადაიხადეს. სხვათა შორის მის შესაძენად რონალდოს „ინტერიც" იბრძოდა, მაგრამ ვაჭრობაში წააგო.

— ჩვენ ერთადერთი გზა გვაქვს, კვლავ ერთად უნდა ვითამაშოთ და ამიტომ რონალდოს „ლაციოში" გადმოსვლა მართებს. გუნდში დიდებული ფეხბურთელები არიან, ამტომ შეგვიძლია აქ ყოფნა დიდ სიამოვნებად ვიქციოთ — განაცხადა ყოფილმა ბარსელონელმა.

1997 წლის ევროპის თასების თასის მფლობელი დე ლა პენია დარწმუნებულია, რომ მისი იმდროინდელი პარტნიორი დაძლევს ემოციურ სტრესს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის დღეს რომ დაემართა.

— რონალდო ძლიერი პიროვნებაა, ამიტომაც არა მგონია ზურგზე დაწოლილ წნეხს ვერ გაუძლოს. მისი ზრდა თვალსაჩინოა. ის ძალიან ახალგაზრდაა და ძალიან სწრაფადაც დაოსტატდა, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ მოკიდებულ პასუხისმგებლობას რონალდოს წაქცევა შეეძლოს. იგი ჩემი ახლო მეგობარია. ვამაყობ, რომ ერთ გუნდში ვთამაშობდით.

მაგრამ რონალდოს „ინტერიდან" „ლაციოში" გადასვლის საკითხი ძალიან საეჭვოა, ამიტომაც დე ლა პენიას ჩილელი მარსელო სალასის იმედი აქვს.

— რაღაცით სალასი რონალდოს ჰგავს. ორივენი სწრაფები არიან და უამრავი გოლი გააქვთ. ვგონებ, სალასს შეუძლია სერია A-ს ბომბარდირი გახდეს და სულ მცირე 20 გოლი მიანც გაიტანოს. ზოგადად „ლაციოს" შესწევს „სკუდეტოს" მოპოვების უნარი, მე კი ვერ დავიჩემებ, ასე და ისე ვიზამო, მაგრამ ძალ-ღონეს არ დავიშურებ, გუნდი მოწინავე რომ გახდეს და ბოლომდე გაიტანოს თავისი.

გასულ სეზონში „ლაციო" და „ინტერი" უეფას თასის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. „ინტერმა" მოიგო 3:0. წლეულს გუნდები იტალიური „სკუდეტოს" მთავარი მოცილეები იქნებიან.

# ბექემს მაინც არ აპატიეს

## ინგლისი

### სუპერთასი

**არსენალი 3:0 მანჩესტერი**

1:0 ოვერმარსი (34), 2:0 ვრე (57), 3:0 ანელკა (72)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი (ბოულდი 79), კეონი, ვინტერბერნი, ვიეირა (გრიმანდი 84), პარლოუ, პეტი (ბოა მორტე 73), ანელკა, ბერხკამპი (ვრე 46), ოვერმარსი (ჰიუზი 69)

მანჩესტერი: შმეიხელი, გ. ნევილი, იონსენი, სტამი, ირვინი, ბექემი, ბატი (სოლსკიაერი 53), კინი (ბერგი 79), სქოულზი (შერინგემი 70), კოული (ფ. ნევილი 70), გიგზი (კრუიფი 70)

ინგლისის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა ლონდონის „არსენალმა" კვირას, 9 აგვისტოს, კიდევ ერთი ტიტული მიითვალა — ქვეყნის სუპერთასი. ამისთვის მას საჩემპიონო სეზონში მუდმივი მდევრისა და კონკურენტის „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხება მოუხდა. აღსანიშნავია, რომ ინგლისის სუპერთასის მოპოვებაში „მეთოფეებს" სამი არაინგლისელის მიერ გატანილი გოლი დაეხმარა. ანგარიში 34-ე წუთზე ჰოლანდიელმა გარემარბმა მარკ ოვერმარსმა გახსნა — მან თავის ფრთაზე ადვილად ჩამოიშორა მეურვე და უძლიერესი დარტყმით ბურთი კარის ზედა ძელს ქვევით მოათავსა. მეორედ თავი გუნდის ლიბერიელმა თავდამსხმელმა კრისტოფერ ვრემ გამოიჩინა, რომელიც მოედანზე მატჩის განახლებისთანავე გამოჩნდა. მან კუნთდაჭიმული, პრემიერლიგის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, ოვერმარსის თანამემამულე დენის ბერხკამპი შეცვალა. ვრეს გოლის გატანისთვის ათიოდ წუთი დასჭირდა: ოვერმარსისა და ანელკას მიერ გათამაშებული შესანიშნავი კომბინაციის შედეგად იგი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ მანჩესტერელთა მეკარე ბურთს ადგილზე დაუხვდა და მოიგერია, თუმცა იგი კვლავ ვრესთან მიგორდა, რომლის განმეორებითი დარტყმული უნაკლო გამოდგა.

რაც შეეხება მესამე გოლს, იგი ახალგაზრდა ფრანგი ფორვარდის ნიკოლა ანელკას ანგარიშზეა, რომელმაც მარცხენა ფრთაზე განახორციელა რეიდი, გზად მანჩესტერელთა ახალშეძენილი მსოფლიოს უძვირფასესი მცველი იაპ სტამი ჩამოიტოვა და პიტერ შმეიხელს ახლო კუთხეში გაუტანა — ეს ყველაფერი მატჩის დასრულებამდე 18 წუთით ადრე მოხდა.

კიდევ ერთი მიზეზი, რამაც მანჩესტერელებს ის საღამო უფრო ჩაუშხამა, დევიდ ბექემი გახლდათ. ეტყობა, ინგლისელ ფანებს ჯერაც ვერ დაუვიწყებიათ მის მიერ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩადენილი უღირსი საქციელი და როგორც კი დევიდი ბურთს მიიღებდა, „უემბლის" საშინელი ღრიანცელითა და ლანძღვა-გინებით იკლებდნენ. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა ხდებოდა სტადიონზე, როცა საბრალო ბექემი ცდებოდა...

**ნოდარ ძასრაძე**




ადამსი (მარცხნივ) და სიმენი სეზონის მესამე ტიტულს ხარობენ

## ნორვეგია

მე-17 ტური. ბრანი — ვოლერენგენი 3:0; სტაბეკი — მოლდე 1:4; ვიკინგი — სტრომსგოდსეტი 4:1; ლილესტრიომი — რუსენბორგი 0:3; ბოდო გლიმტი — კონგსვინგერი 0:0; ჰაუგესუნდი — ტრომსო 1:1; სოგნდალი — მოსი 4:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოლდე | 17 | 11 | 6 | 0 | 50:19 | 39 |
| რუსენბორგი | 16 | 12 | 2 | 2 | 49:15 | 38 |
| ვიკინგი | 17 | 10 | 3 | 4 | 42:27 | 33 |
| სტაბეკი | 17 | 10 | 3 | 4 | 35:20 | 33 |
| ბოდო გლიმტი | 17 | 6 | 7 | 4 | 31:29 | 25 |
| ლილესტრიომი | 17 | 6 | 5 | 6 | 25:34 | 23 |
| სტრომსგოდ. | 17 | 6 | 4 | 7 | 28:38 | 22 |
| ტრომსო | 17 | 5 | 4 | 8 | 25:41 | 19 |
| მოსი | 17 | 6 | 1 | 10 | 20:38 | 19 |
| კონგსვინგერი | 15 | 5 | 3 | 7 | 20:29 | 18 |
| ბრანი | 17 | 3 | 7 | 7 | 23:26 | 16 |
| სოგნდალი | 17 | 3 | 4 | 10 | 20:42 | 13 |
| ჰაუგესუნდი | 16 | 3 | 3 | 10 | 25:31 | 12 |
| ვოლერენგენი | 17 | 3 | 3 | 11 | 25:42 | 12 |

## ავსტრია

მე-4 ტური. გრაცერი — ტიროლი 2:0, ლუსტენაუ — აუსტრია 1:1, რაპიდი — ლინცერი 5:0, რიდი — შტაირი 0:0, ზალცბურგი — შტურმი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 10 |
| გრაცერი | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 |
| რაპიდი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| აუსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ლინცერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| ტიროლი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ლუსტენაუ | 4 | 0 | 2 | 2 | 3:9 | 2 |
| ზალცბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| რიდი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:3 | 1 |
| შტაირი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -2 |

*შტაირმა ფინანსური დარღვევების გამო ჩემპიონატი დაიწყო -3 ქულით.*

## სლოვენია

მე-2 ტური. ბელტინჩი — კოროტანი 2:1; ტრიგლავი — მურა 0:0; აიდოვშინა — მარიბორი 0:1; დომზალე — ოლიმპია 0:3; ცელიე — ნოვა გორიცა 2:1; ველენიე — კოპერე 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ველენიე | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| მარიბორი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| მურა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ცელიე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| გორიცა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ბელტინჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| კოპერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ტრიგლავი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| აიდოვშინა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| კოროტანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |
| დომზალე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა
### II ტური

**კიკერსი 2:0 ობერჰაუზენი**

1:0 ტ. მარიჩი (28), 2:0 კარლი (90)

**ურდინგენი 1:2 ფორტუნა**

0:1 ბრდარიჩი (4), 0:2 იუნგა-მოუპანი (90), 1:2 ტომჩიჩი (90)

**კიოლნი 0:1 უნტერჰახინგი**

0:1 ობერლაიტნერი (4)

**კარლსრუე 1:2 ულმი**

0:1 ოტო (65), 1:1 კრიგი (85), 1:2 ტრკულია (90პ)

**ფიურტი 1:0 ზანქტ პაული**

1:0 რაიხელი (89პ)

**ბერლინი 1:0 კოტბუსი**

1:0 კოვაჩეჩი (70)

**დიუსელდორფი 3:1 გიუტერსლო**

1:0 ტარე (5), 2:0 ლესნიაკი (7), 2:1 ვაიდემანი (13), 3:1 ლესნიაკი (68)

**ვატენშაიდი 1:1 მაინცი**

0:1 გრეველშიორსტერი (35), 1:1 ფაინბირი (73)

**არმინია 0:1 ჰანოვერი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ფორტუნა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ჰანოვერი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| მაინცი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| დიუსელდორფი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| არმინია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| კოტბუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| კიკერსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბერლინი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| კიოლნი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ზანქტ პაული | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| უნტერჰახინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ფიურტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ურდინგენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ვატენშაიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ობერჰაუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| კარლსრუე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| გიუტერსლო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

# იმედი ვიქონიოთ

## გერმანია

ლიგის თასის ფინალში ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა მიუნხენის „ბაიერნმა" ბრაზილიელი ლეგიონერის ჯოვანი ელბერის მიერ შესრულებული ჰეთ-თრიქის წყალობით თასების თასის წლევანდელი ფინალისტი „შტუტგარტი" გაანადგურა 4:0 და კიდევ ერთ ტიტულთან ერთად 2,5 მილიონი მარკა (1,41 მილიონი დოლარი) დაისაკუთრა. შეხვედრა, რომელსაც მხოლოდ 14 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, მიუნხენელთა შეტევებით დაიწყო და უკვე მე-4 წუთზე ელბერმა ანგარიში გახსნა. მეორე გოლი ბრაზილიის სამსოფლიოსჩემპიონატო ნაკრებს მიღმა დარჩენილმა ფორვარდმა 25 წუთის შემდეგ გაიტანა, როდესაც „ბაიერნში" ახალგადმოსული შტეფან ეფენბერგისგან შესანიშნავი პასი მიიღო. რაც შეეხება მესამე გოლს, იგი მას მერე გავიდა, რაც მარიო ბასლერის გამჭოლი გადაცემა შტუტგარტელ მცველ ტომას ბერთოლდს ფეხზე მოხვდა, აიჭრა და საჯარიმოში მყოფ ელბერს მიუვიდა, რომელსაც ბურთის თავით კარში გადაგზავნა და შესაბამისად, ჰეთ-თრიქის შესრულება არ გასჭირვებია — ეს 42-ე წუთზე მოხდა. შეხვედრას წერტილი მიუნხენელთა მეორე თავდამსხმელმა კარსტენ იანკერმა მატჩის მიწურულს დაუსვა — მან მეგობრების წამოწყებული სწრაფი კონტრშეტევა დააგვირგვინა.

„იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. თუ ჩვენ ჩემპიონატშიც ასეთ მაღალ დონეზე ვიასპარეზებთ, უეჭველად პირველობას გამოვკრავთ ხელს" — განაცხადა მატჩის შემდეგ გახარებულმა ელბერმა.

სულაც არ ულხინდა დამარცხებულთა თაკაცს ვინფრიდ შეფერს: „როდესაც „ბაიერნის" ტიპის გუნდს თავისუფლად თამაშის უფლებას მისცემ, ზუსტად ასეთ შედეგს უნდა ელოდე. და კიდევ, დღეს ჩვენ აგრესიულობა გვაკლდა" — აღნიშნა მეტად დამწუხრებულმა შეფერმა.

რაც შეეხება მიუნხენის „ბაიერნის" ახალდანიშნულ მთავარ მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდს, იგი კმაყოფილი, მაგრამ ამავდროულად თავშეკავებული ჩანდა: „ძლიერ ნასიამოვნები ვარ ბიჭების თამაშით, თუმცა ზეიმისა და დაწყნარების დრო ახლა არ არის, წინ ურთულესი მატჩი გველის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში. ურთულესი იმიტომ, რომ მეტოქეზე თითქმის არაფერი ვიცით და მოსამზადებელი დროც ძალიან ცოტა გვაქვს".

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად მიუნხენის „ბაიერნს" იუგოსლავიურ „ობილიჩთან" მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. პირველი შეხვედრა ხვალ მიუნხენში გაიმართება.

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისელმა ფეხბურთელმა**, მარკ რობინსმა ესპანეთის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ორენსე" დატოვა და საბერძნეთის თასის მფლობელ „პანიონისთან" ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 29 წლის თავდამსხმელი ადრე „მანჩესტერ იუნაიტედის" ღირსებას იცავდა, სადაც 1990 წლის ასოციაციის თასის გათამაშების მესამე წრეში „ნოტინგემ ფორესტს" გადამწყვეტი გოლი გაუტანა და ძლიერ დაეხმარა თავის გუნდს შოტლანდიელი სპეციალისტის, ალექს ფერგიუსონის ხელმძღვანელობით პირველი ტიტულის მოპოვებაში.

**უკრაინის** ჩემპიონატი. მე-6 ტური: მეტალურგი (ზაპოროჟიე) — სკა 4:1; პრიკარპატიე — ტავრია 0:2; კრივბასი — მეტალურგი (დონეცკი) 2:0; დნეპრი — კარპატი 0:2; ცსკა — ნივა 0:0; ვორსკლა — მეტალურგი (მარიუპოლი) 0:1. გათამაშებას 12 ქულით ლიდერობს კრივბასი.

**გერმანიის ნაკრების ერთ-ერთმა ყველაზე ასაკოვანმა და გამოცდილმა ფეხბურთელმა, ლოთარ მათეუსმა განაცხადა, რომ შესაძლოა სანაკრებო კარიერა გააგრძელოს: „ალბათ, 50, უფრო 51 პროცენტით ასე იქნება" — აღნიშნა 37 წლის ლიბერომ მიუნხენურ გაზეთ AZ-თვის მიცემულ ინტერვიუში. აქვე მათეუსმა დაამატა: „ახლახან ბერტი ფოგტსმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. დაახლოებით 20 წუთს ვისაუბრეთ, ძირითადად, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე. ჩემს მომავალს ნაკლებად შევეხეთ, ამაზე მაშინ ვილაპარაკებთ, როდესაც ბერტი კვლავ ჩამოვა მიუნხენში".**

**ინგლისის** ჩემპიონატი, პირველი დივიზიონი. პირველი ტური: ბარნსლი — ვესტ ბრომვიჩი 22; ბრედფორდი — სტოკპორტი 1:2; ბრისტოლი — ოქსფორდი 2:2; ბარი — ჰადერსფილდი 1:0; კრისტალ პალასი — ბოლტონი 2:2; ნორვიჩი — ქრიუ 2:1; პორტ ვეილი — ბირმინგემი 0:2; პორტსმუთი — უოტფორდი 1:2; შეფილდი — სვინდონი 2:1; სანდერლენდი — ქუინს პარკ რეინჯერსი 1:0; ვულვერჰემპტონი — ტრანმერი 2:0. მეორე დივიზიონში „მანჩესტერ სიტიმ" 3:0 მოუგო „ბლეკპულს". მესამე ბურთი 77-ე წუთზე თავური დარტყმით კახი ცხადაძემ გაიტანა.

**იუგოსლავიის ჩემპიონატი. პირველი ტური: სარტიდი — რადნიჩკი (კრაგაუიევაცი) 1:3; ვოივოდინა — მოგრენი 3:0; ზემუნი — სპარტაკი 4:2; რადი — ზელეზნიკი 2:0; პროლეტერი — პრიშტინა 2:0; პარტიზანი — რადნიჩკი (ნისი) 4:1; ჰაიდუკი (კულა)— ოფკ 0:0; ცრვენა ზვეზდა — ბუდოჩნოსტი 4:0; მილიციონარი — ობილიჩი 0:0.**

**კორეის** ნაკრების ფეხბურთელი, იუ სენგ ჩუი, რომელიც ამჟამად „ულსანდ ჰიუნდაიში" ირიცხება, შესაძლოა, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდ „ბარსელონაში" გადავიდეს. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ესპანური კლუბის მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა, წარსულში ჰოლანდიის ნაკრების მცველმა რონალდ კუმანმა. მისი თქმით, „ბარსელონამ" სეზონისწინა შეკრებები ჰოლანდიასა და ინგლისში გაიარა, ახლა კი გერმანიაში მიემგზავრება, სადაც სენგ ჩუი შეუერთდება და ბერლინის „ჰერტასთან" ამხანაგურ მატჩს ითამაშებს. კორეელმა ნახევარმცველმა ახლახან დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი ნაკრების შემადგენლობაში სამივე ჯგუფური შეხვედრა ჩაატარა და ბელგიელებთან ფრედ 1:1 დასრულებულ მატჩში გოლიც გაიტანა. თუ სენგ ჩუი „ბარსელონასთან" კონტრაქტს გააფორმებს, იგი პირველი კორეელი იქნება, ვისაც ოდესმე ესპანეთის პირველ დივიზიონში უასპარეზია.

**დანიელმა ფორვარდმა პერ პედერსენმა ინგლისური „ბლექბერნ როვერსი" დატოვა და ფრანგულ „სტრასბურთან" სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. სატრანსფერო თანხა 1,48 მილიონი დოლარია. ინგლისურ კლუბში თვით-რვალში მშობლიური „ოდენსედან" გადასულმა პედერსენმა დანიელ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, იმედი მაქვს, „სტრასბურში" გადაბარგება ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაში ძლიერ დამეხმარებაო.**

**ისლანდიის** ნაკრების ნახევარმცველი, პოლ ჰოლი „პორტსმუტიდან" 300 ათას გირვანქად „ქოვენთრი სიტიში" გადავიდა და თავის ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამასთან დაკავშირებით „ქოვენთრის" თავკაცმა გორდონ სტრაჩანმა განაცხადა: „პოლი მეტად ნიჭიერი, პერსპექტიული და შრომისმოყვარე მოთამაშეა. ამასთან, მას ორივე ფლანგზე ერთნაირად შეუძლია თავის გამოჩენა, რაც პოლ ტელფერის და ნოელ ველანის არყოფნისას ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია".

**ჩეხეთის ჩემპიონატი. მე-2 ტური: ჰრადეცი — ვიქტორია (პლზენი) 3:0; დუკლა — ტეპლიცე 2:3; ბანიკი — სლავია 5:0; ბობი — სლოვანი 0:2; ვიქტორია (ჟიჟკოვი) — ოპავა 3:2; სპარტა — კარვინა 5:0; სიგმა — ბლსანი 2:1. გათამაშებას 6 ქულით ლიდერობენ „სპარტა" და „სიგმა".**

**ხორვატიის** ჩემპიონატი. პირველი ტური: სლავენი — ვარტექსი 2:3; ციბალია — რიეკა 1:2; მლადოსტი — ზაგრები 0:1; დრაგოვილიაცი — ჰაიდუკი 0:0; კროაცია — შიბენიკი 4:1; ზადარკომერცი — ოსიეკი 1:1.

**იტალიის ქალაქ პალერმოში ამხანაგური შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ერთმანეთის „პარმა" და „ჩელსი" შეხვდნენ. მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა. იტალიელთაგან გოლები ფიორემ (მე-2 წთ) და კრესპომ (60) გაიტანეს, ინგლისელთაგან კი პოიეტმა (42) და ვიალიმ (77).**

**შოტლანდიის** ლიგის თასის მეორე წრის მატჩები: ბერვიკი — ფალკირკი 1:5; დანდი — ალოა 0:1; დანდი იუნაიტედი — სტირლინგი 2:2 (პენალტების სერიაში გაიმარჯვა „დანდიმ" 3:0); ისტ ფაიფი — მოზერველი 0:1; გრინოკ მორტონი — როს ქაუნთი 0:1, ჰამილტონი — ჰიბერნიანი 1:2; ინვერნეს ტისტლი — აბერდინი 0:3; ლივინგსტონი — დანფერმლაინი 1:0; რეიტი — კლაიდბენკი 2:0; სენტ ჯონსტონი — სტრანსაერი 3:0; სენტ მირენი — აირი 1:3; სტენჰაუსმური — ეარდრაიონიანსი 0:2. გაიმართა კენჭისყრა. მესამე წრეში გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: კილმარნოკი — ლივინგსტონი; როსი — დანდი იუნაიტედი; მოზერველი — აირი; ფალკირკი — სენტ ჯონსტონი; ჰართსი — რეით როვერსი; ჰიბერნიანი — აბერდინი; რეინჯერსი — ალოა; აირდრენიანსი — სელტიკი. მატჩები გაიმართება 18 და 19 აგვისტოს

**თურქეთის ჩემპიონატი. პირველი ტური: ბურსასფორი — ქარაბუქი 1:2; ბეშიქთაში — ანკარაგიუჯუ 4:1; ტრაბზონი — გაზიანთეპი 0:1; გალათასარაი — ალთაი 3:1; საქარია— ანთალია 0:0; სამსანსფორი — ქოჯაელი — 0:1; ადანა — ისთანბული 0:1; გენჩლერბირლინგი — ერზურუმი 5:1; დარდანელი — ფენერბახჩე 0:0.**

**სლოვაკეთის** ჩემპიონატი. მე-2 ტური: სპარტაკი — ოზეტა 1:0; ჰუმენე — ტატრანი 0:0; BSC - კოშიცე 1:2; რუზომბეროკი — არტმედია 0:2; კერამეტალი — ბანიკი 3:2; ტაურისი — ნიტრა 1:1; დუკლა — სლოვანი 2:2; ინტერი — მსკ 5:0. გათამაშებას 6 ქულით ლიდერობს სპარტაკი.

**ბულგარეთის ჩემპიონატი. პირველი ტური. ლიტექსი — ლოკომოტივი (სოფია) 3:1, ლოკომოტივი (პლოვდივი) — მეტალურგი 2:0, სლავია — ლევსკი (კუისტენდილი) 1:0, დობრუჯა — პირინი 0:0, სპარტაკი — შუმენი 3:0, მინიორი — ბოტევი 1:0, ნეფტოხიმიკი — ცსკა 3:0.**

**არგენტინის** ჩემპიონატი. პირველი ტური. რივერ პლეიტი — ველეს სარსფილდი 1:1, ფერო კარილი — ბოკა ხუნიორსი 2:4, როსარიო სენტრალი — ნეველს ოლდ ბოიზი 1:1, ლანუსი — ურაკანი 3:1, უნიონი — ხიმნასია ლა პლატა 3:2, ესტუდიანტესი — კოლონი 2:0, სან ლორენსო — პლატენსე 2:2, ტალერესი — რასინგი 2:4.

# დიკ ადვოკაატი: ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ

UEFA CUP

დღეს უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე წრის პირველი მატჩებია. ზუსტად ორ კვირაში ქვემოთ დასახელებული წყვილებიდან მხოლოდ ისინი დარჩებიან, ვინც უეფას თასის 1/32 ფინალში ჩაერთვება. თანდათანობით იკლო კლუბების რაოდენობამ და ბუნებრივია, ამაღლდა ტურნირის დონე — მომრავლდნენ საინტერესო წყვილები, ბრძოლებიც, იმედია, გამწვავდება და ჩვენც, ფეხბურთის გულშემატკივრები, უფრო ლამაზ სანახაობას ვიხილავთ.

აღნიშვნის ღირსად 20 წყვილიდან რამდენიმე ჩავთვალეთ. პირველ ყოვლისა, ეს არის შეხვედრა, რომელიც ბელგრადში გაიმართება ფოთის „კოლხეთის" შემარცხვენელ, ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „ცრვენა ზვეზდასა" და ვოლგოგრადის „როტორის" შორის. ეს უკანასკნელი ხომ ყოველთვის რუსეთის წამყვან კლუბებში ირიცხება და ამ ორიოდ წლის წინ ევროტურნირებიდან თვით „მანჩესტერ იუნაიტედიც" კი გამოაგდო.

საკმაოდ სინტერესო შეხვედრა იმართება გლაზგოში, სადაც „რეინჯერსი" ბერძნულ „პაოკს" უმასპინძლებს, იმ „პაოკს", რომელმაც შარშანდელ უეფას თასზე ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელი ლონდონის „არსენალი" დაჩაგრა. ამ მატჩში მოთამაშეთა გარდა ქომაგთა დაპირისპირებაც არის მოსალოდნელი — ბრიტანელი ფანების ამბავი კარგად მოგეხსენებათ, ალბათ ისიც იცით, რომ არც ბერძენი გულშემატკივრები არიან მთლად დალაგებულნი. ამიტომაც იყო, რომ ორი წლის განმავლობაში „პაოკს" ევროტურნირებში მონაწილეობის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. „რეინჯერსის" ჰოლანდიელმა თავკაცმა დიკ ადვოკაატმა აღნიშნა: „ჩემი აზრით, კენჭისყრამ ყველაზე უხერხული მეტოქე ჩვენ გვარგუნა. ბერძნებს ბრწყინვალე გუნდი და ერთგული ქომაგები ჰყავს, ამიტომ მათი დამარცხება საკმაოდ რთულია. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ."

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ხორვატული „ჰაიდუკისა" — შვედეთის „მალმიოს", „სლავია" — „ინტერისა" და „გიოტებორგი" — „ფენერბახჩეს" შეხვედრებია. მაშ ასე, დღეს ევროტურნირების სამდღიანი მარათონი იწყება.

### უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები. 11 აგვისტო

UEFA CUP

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — როტორი (რუსეთი)
ფერენცვაროში (უნგრეთი) — აეკ (საბერძნეთი)
ეკერენი (ბელგია) — სერვეტი (შვეიცარია)
არჯესი (რუმინეთი) — ისტანბულსფორი (თურქეთი)
მიოლდე (ნორვეგია) — ცსკა (ბულგარეთი)
გიოტებორგი (შვედეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი)
მურა (სლოვენია) — სილკებორგი (დანია)
რეინჯერსი (შოტლანდია) — პაოკ (საბერძნეთი)
სლავია (ჩეხეთი) — ინტერი (სლოვეკთი)
ციურიხი (შვეიცარია) — შახტიორი (უკრაინა)
ბრანი (ნორვეგია) — ჟალგირისი (ლიტვა)
ვისლა (პოლონეთი) — ტრაბზონსფორი (თურქეთი)
ოცელული (რუმინეთი) — ვეილე (დანია)
ჰაპოელი (ისრაელი) — სტრომსგოდსეტი (ნორვეგია)
ოსიეკი (ხორვატია) — ანდერლახტი (ბელგია)
ომონია (კვიპროსი) — რაპიდი (ავსტრია)
ვაასა (ფინეთი) — გრაცი (ავსტრია)
პოლონია (პოლონეთი) — დინამო (რუსეთი)
ჰაიდუკი (ხორვატია) — მალმიო (შვედეთი)
კილმარნოკი (შოტლანდია) — სიგმა (ჩეხეთი)

# ნაცნობ ამბებს პლუს უცნობი გაფიცვა

გაგონილა?! ყველა ის ქვეყანა, სადაც კომუნიზმს ფეხი ჰქონდა შეყოფილი, ერთნაირია. მადლობა ღმერთს, ეს პოლიტიკური წითელა ისტორიას ჩაბარდა. იქნებ თანდათანობით დაიბრუნონ სახე და დაავადებამოხდილმა ქვეყნებმა.

ის, რაც პოლონეთში მოხდა (ხდება), გაჭრილ ვაშლსავით ჰგავს იმას, რაც საქართველოში გამოვიარეთ, რაც იყო ალბანეთსა და აზერბაიჯანში.

აბა, სადაა განსხვავება? პოლონეთის სპორტის მინისტრმა ამა წლის აპრილში ფინანსისტი ინსპექტორები გააგზავნა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში, სადაც ისინი არ შეუშვეს. მინისტრი გაბრაზდა და ფედერაციის თანამშრომლები თანამდებობებიდან გაანთავისუფლა. განთავისუფლებულებმა კაბინეტები არ გაანთავისუფლეს და ფიფა-უეფაში იჩივლეს. იქიდან პოლონეთს კლასიკური პასუხი ჩავიდა, თუ ყველა მოხსნილს უკან არ დააბრუნებთ, ვერც თქვენი კლუბები იხილავენ ევროტურნირებს და ვერც ნაკრები ითამაშებს ევრო 2000-ის შესარჩევშიო. ითქვა ვადაც, 7 აგვისტოს ღამის 12 საათი. ატყდა ერთი შფოთი, რომელიც თორმეტს რომ 14 წუთი აკლდა, მინისტრის ახალი ბრძანებით დასრულდა. მინისტრმა ყველა მოხსნილი ძველი თანამდეობებს დაუბრუნა.

მაშ სადაა განსხვავება? განსხვავება ორგანიზაციათა სახელწოდებებშია (პოლონურ სამინისტროს სრულად ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჰქვია) და ცხადია, რაღაც-რაღაც ნიუანსებში, თორემ საკითხი ზუსტად პოსტსაბჭოურად დგას. იგივე მოქიშპენი, იგივე შედეგი.

აი, თორმეტს რომ თოთხმეტი დააკლდა, რა განაცხადა მინისტრმა იაცეკ დებსკიმ: — ვინაიდან სამინისტროს ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა და პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ თავისი საბუთების შემოწმების ნება დაგვრთო, მისი თანამშრომლებიq თანამდებობებზე აღვადგინეთ. მსურს ხაზი გავუსვა, რომ ეს გადაწყვეტილება ფიფასა და უეფასა ზეწოლით არ მიგვიღია. ფიფა არაა ის ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო და ჩვენი სახელმწიფოს ნორმებს განსაზღვრავს.

რამდენად მართალია ამაყი კაცის ეს განცხადება? იქნებ პოლონეთის პრეზიდენტის, სპორტის ყოფილი მინისტრის ალექსანდრ კვაშნიევსკის ჩარევა რომ არა, დებსკის სულაც არ მოეწერა ახალ ბრძანებაზე ხელი?

ცხადია, არც ფიფა და უეფა არიან ყოვლისშემძლე ორგანიზაციები, მაგრამ მათ რომ აჯობო, ეტყობა, სხვანაირად უნდა მოიქცე, ხუთკუნჭულას ხრიკები უნდა მოიფიქრო, ანდა იმდენად ღონიერი უნდა იყო, რომ „ბაიერნის" პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერის და მის თანამოაზრეებისავით გამოუცხადო, ჩვენ ჩვენს სუპერლიგას გაწყობთ, მთელ ფულს ჯიბეში ჩავიდებთ, შენ კი თავში ქვა გიხლიაო.

იხლის თუ არა ფიფა ქვას, ჯერ საკითხავია, მაგრამ სუპერლიგის ინიციატორთ რომ ვერ დაუტატანებს, ახლავე აშკარაა.

მოკლედ, პოლონური გუნდები ევროიზოლაციას გადარჩნენ. „ლოძი" ჩავა მანჩესტერში „იუნაიტედთან" სათამაშოდ, „ვისლა" თურქულ ტრაბზონსფორს დაეჭიდება, „პოლონია" — მოსკოვის „დინამოს", „ამიცა" კი მალტის „ჰიბერნიანსს". არც ქვეყნის ნაკრები დარჩება უსაქმოდ, 6 სექტემბერს ბულგარეთს შეებრძოლება, მაგრამ რა მოხდება საკუთრივ პოლონეთის პორველობაზე, კაცმა არ იცის.

საქმე არც ისე იოლად ყოფილა. შაბათს უმაღლესი ლიგის 16 გუნდიდან 9 გაიფიცა და მოედანზე არ გავიდა. მათ არ ეპიტნავათ, რომ თანამდებობას დაუბრუნდა პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მარიან ძიუროვიჩი. ცხადია, კლუბები იზოლაციის წინააღმდეგნი იყვნენ და მინისტრ დებსკის ფედერაციის თანამშრომელთა თანამდებობებზე აღდგენას სთხოვდნენ, მაგრამ ძიუროვიჩის სავარძელთან დაბრუნება აღარ მოეწონათ, შესაბამისად, ჩაიშალა თამაშები: ლკს—ოდრა, რუხი — პოლონია, ვისლა — ზაგლებიე, ბელხატოვი — სტომილი, გურნიკი — პოგონი, ლეგია — ლეხი და ამიცა — ვიძევი, გკს-მ კი რაძიონკოვის „რუხს" 1:0 მოუგო.

# ტუალეტის მშვენება



მარიო ზაგალო

**მარიო ზაგალო,** ბრაზილიის ნაკრების გადამდგარი მწვრთნელი, სასამართლოში უჩივის ცნობილ თავდამსხმელს რომარიოს.

მიზეზი: რიო დე ჟანეიროში არის კაფე სახელწოდებით „გოლი", რომლის ერთ-ერთი მეპატრონე გახლავთ რომარიო და ამ ბარის ტუალეტში კედლები ზაგალოს კარიკატურებითაა მოხატული.

ზაგალომ ამასთან დაკავშირებით რიოს ერთ-ერთ გაზეთს ინტერვიუ მისცა. ცხადია, მწვრთნელი აღშფოთებულია და ინტერვიუში სულ ტუალეტზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ რომარიომ ამ აღშფოთებას ტკბილი სიტყვა დაუპირისპირა, კედლები ზაგალოს სურათებით მისდამი პატივისცემის ნიშნად მაქვს მოხატულიო.

ახლა ნახატების შინაარსიც მოვყვეთ. მამაკაცთა განყოფილების შესავლელ კარზე გამოსახულია უნიტაზზე ჩამომჯდარი ზაგალო, მეორე კარზე კი ზაგალოს თანაშემწეს, ზოკოს ხელში ტუალეტის ქაღალდი უჭირავს.

— ეს შეურაცხყოფაა, რომელსაც ვერაფრით შევეგუები. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ვინმე, ოდესმე ასე მომეპყრობოდა — ბრაზობს ზაგალო გაზეთების ფურცლებზე.

ყველაფერი კი მოგეხსენებათ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დაიწყო, როდესაც ზაგალომ რომარიო ბოლოწამს ამოშალა, 22 კაციანი განაცხადიდან. თავად 66 წლის მწვრთნელი ამას ასე ხსნის:

— მსოფლიო ჩემპიონატის წინადღეს რომარიოს სიიდან ამოგდება გარდაუვალი გამოდგა. ჩვენ სწორედ ბოლო წამამდე ვიცდიდით იმ იმედით, რომ ის გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.



რომარიო

არ მოხდა და აგერ, ახლა რომარიოს კაფეს ჩეჩმის კედლებს მისი გამოსახულება ამშვენებს.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია
## "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი.

12 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი (ნორვეგია) — ბრიუგე (ბელგია) | (2,0-1,5) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ლკს (ლოძი, პოლონეთი) | (1,01-15,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ლიტექსი (ბულგარეთი) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | (3,5-1,2) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გალათასარაი (თურქეთი) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (1,7-1,7) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| სელტიკი (შოტლანდია) — კროაცია (ხორვატია) | (1,8-1,6) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| მარიბორი (სლოვენია) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | (15,0-1,01) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| დინამო (კიევი, უკრაინა) — სპარტა (ჩეხეთი) | (1,4-2,0) | 1,5 | 3,1 | 5,3 |
| კოშიცე (სლოვაკეთი) — ბრონდბიუ (დანია) | (3,1-1,25) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ინტერი (იტალია) — სკონტო (ლატვია) | (—-25,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ბენფიკა (პორტუგალია) — ბეითარი (ისრაელი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| დინამო (საქართველო) — ბილბაო (ესპანეთი) | ანგარიში — 5.0 | | | |
| ჰიკ (ფინეთი) — მეცი (საფრანგეთი) | (15,0-1,01) | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ბაიერნი (გერმანია) — ობილიჩი (იუგოსლავია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| შტურმი (ავსტრია) — უიპეშტი (უნგრეთი) | (1,35-2,5) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| სტიაუა (რუმინეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | (2,3-1,4) | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### თასების თასის საკვალიფიკაციო ეტაპი.

13 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუდარი (სლოვენია) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) | (1,4-2,3) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ჰელსინბორგი (შვედეთი) | (50,0-—) | 5,0 | 7,0 | 1,05 |
| ლოზანა (შვეიცარია) — ცემენტი (სომხეთი) | (1,05-7,5) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| კორკ სიტი (ირლანდია) — ცსკა (უკრაინა) | (3,5-1,2) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ეკრანასი (ლიტვა) — აპოლონი (კვიპროსი) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| აპოლონია (ალბანეთი) — გენკი (ბელგია) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ბანგორი (უელსი) — ჰაკა (ფინეთი) | (3,5-1,2) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ლევსკი (ბულგარეთი) — ვიტებსკი (ბელარუსი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლიეპაია (ლატვია) — კეფლავიკი (ისლანდია) | (2,5-1,35) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — რაპიდი (რუმინეთი) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ლანტანა (ესტონეთი) — ჰართსი (შოტლანდია) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ამიცა (პოლონეთი) — ჰიბერნიანი (მალტა) | (1,05-7,5) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| გოტუ (ფარერები) — მტკ (უნგრეთი) | (15,0-1,01) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) | (5,0-1,1) | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| ვარდარი (მაკედონია) — სპარტაკი (სლოვაკეთი) | (2,3-1,4) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ყარაბახი (აზერბაიჯანი) — კოპენჰაგენი (დანია) | (15,0-1,01) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| პარტიზანი (იუგოსლავია) — ბათუმი (საქართველო) | ანგარიში — 5.0 | | | |

### უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი.

11 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ეკერენი (ბელგია) — სერვეტი (შვეიცარია) | (1,35-2,5) | 1,5 | 3,2 | 5,0 |
| ციურიხი (შვეიცარია) — შახტიორი (უკრაინა) | (1,7-1,7) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ომონია (კვიპროსი) — რაპიდი (ავსტრია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — როტორი (რუსეთი) | (1,4-2,3) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) — აეკ (საბერძნეთი) | (2,3-1,4) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| არჯეში (რუმინეთი) — ისთანბული (თურქეთი) | (2,3-1,4) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვაასა (ფინეთი) — გრაცერი (ავსტრია) | (7,5-1,05) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| მოლდე (ნორვეგია) — ცსკა (ბულგარეთი) | (1,9-1,55) | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| გიოტებორგი (შვედეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) | (1,55-1,9) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| მურა (სლოვენია) — სილკებორგი (დანია) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რეინჯერსი (შოტლანდია) — პაოკ (საბერძნეთი) | (1,4-2,3) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| სლავია (ჩეხეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) | (1,15-4,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბრანი (ნორვეგია) — ჟალგირისი (ლიტვა) | (1,15-4,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ვისლა (პოლონეთი) — ტრაბზონი (თურქეთი) | (2,3-1,4) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ოცელული (რუმინეთი) — ვაილე (დანია) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ჰაპოელი (თ-ა, ისრაელი) — სტრომგოდსეტი (ნორვეგია) | (1,7-1,7) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ოსიეკი (ხორვატია) — ანდერლეხტი (ბელგია) | (3,5-1,2) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პოლონია (პოლონეთი) — დინამო (რუსეთი) | (1,8-1,6) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ჰაიდუკი (ხორვატია) — მალმიო (შვედეთი) | (1,7-1,7) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კილმარნოკი (შოტლანდია) — სიგმა (ჩეხეთი) | (1,5-2,0) | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინტერტოტოს თასისი ფინალი.

11 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვერდერი (გერმანია) — ვოივოდინა (იუგოსლავია) | (1,15-4,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| რუხი (პოლონეთი) — ბოლონია (იტალია) | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ვალენსია (ესპანეთი) — ზალცბურგი (ავსტრია) | (1,15-4,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. III ტური.

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 აგვისტო | | | |
| ფორტუნა — კიკერსი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 12 აგვისტო | | | |
| ობერჰაუზენი — ბერლინი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 13 აგვისტო | | | |
| გიუტერსლო — უნტერჰახინგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| კოტბუსი — ფიურტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| მაინცი — კარლსრუე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ზანქტ პაული — ვატენშაიდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ულმი — არმინია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| დიუსელდორფი — ურდინგენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

მსოფლიოს ჩემპიონატი

დასაწყისი პირველ გვერდზე

# და მაინც იუგოსლავია!

თანაც, ფინალში ორივე გუნდს გარკვეული მიზანი ამოძრავებდა. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონ იუგოსლავიას მომდევნო პირველობაზე 1994 წელს ტორონტოში მონაწილეობა ქვეყანაში შექმნილი დაძაბული ვითარების გამო საერთოდ აუკრძალეს და გადამწყვეტი შეხვედრის მოგებით ბალკანელებს სურდათ, მსოფლიოს კალათბურთის მამებისთვის ოთხიწლისწინანდელი უსამართლო საქციელის გამო საკადრისი პასუხი გაეცათ. თავის მხრივ, რუსებიც ერთგვარად დაბოღმილი იყვნენ. მათ ხომ წინა ფინალშიც იასპარეზეს და სასტიკადაც შერცხვნენ NBA-ს პირველხარისხოვანი ვარსკვლავებისგან შემდგარ გუნდთან.

ასე რომ, ათენის პირთამდე სავსე 18 ათასიან ოლიმპიურ დარბაზში შეკრებილი მაყურებელი ულამაზეს თამაშს ელოდა და ეს სანახაობაც შედგა.

შეხვედრა რუსების უპირატესობით დაიწყო. მათ მალევე მოახერხეს დაწინაურება და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ლიდერობდნენ. ერთ მომენტში ანგარიშში სხვაობამ 7 ქულასაც მიაღწია 31:24, მაგრამ იუგოსლავიელებმა ბერძნებთან ნახევარფინალური მატჩის პირველი ნახევრის მსგავსად შეძლეს წინგაჭრილი მეტოქის სახიფათო სნაიპერების ალაგმვა. ბაბკოვს და კუდელინს საფირმო ტყორცნები გაუცუდდათ, რითაც ბალკანელებმა ისარგებლეს და შესვენებამდე ჩამორჩენა ოდნავ შეამცირეს 30:35.

მეორე ტაიმში თამაში კიდევ უფრო დაიძაბა. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ 50:50-ზე გუნდებმა მთელი ოთხი (!) წუთის მანძილზე ვერ შეძლეს ანგარიშის შეცვლა. რუსთა სავალალოდ იმ საღამოს თამაში არ წაუვიდათ მათ ლიდერებს — ვასილი კარასიოვსა და სერგეი ბაბკოვს, რომლებიც ჯამში მხოლოდ 13 ქულით შეეწივნენ გუნდს. სამაგიეროდ, კარგად ირჯებოდნენ სამქულიანების დიდოსტატი იგორ კუდელინი და სერგეი პანოვი. სწორედ ამათი დამსახურება იყო, რომ თამაში სულ ქულა-ქულაზე მიმდინარეობდა.

თუმცა გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. თავიდან იუგოსლაველი რებრაჩას კარგი თამაში ვახსენეთ, მაგრამ ფინალში საუკეთესო სხვა კალათბურთელი — 25 წლის ვარსკვლავი დეიან ბოდიროგა გახლდათ, ბოდიროგა, რომელმაც მისთვის უჩვეულოდ ცოტა 11 ქულის ჩაგდების მიუხედავად გადამწყვეტი როლი ითამაშა თავისი გუნდის გაჩემპიონებაში და სამართლიანადაც დაიმსახურა MVP-ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული.

ზელკო ობრადოვიჩი, მსოფლიოს ჩემპიონთა მთავარი მწვრთნელი: „არავითარ შემთხვევაში არ ვთვლიდით ჩვენს თავს ფავორიტად. მატჩმაც აჩვენა, რომ რუსებს საუცხოო გუნდი ჰყავთ და ბედნიერი ვარ, რომ მათი დამარცხება შევძელით. გამარჯვება კი ძირითადად დაცვაში კარგმა თამაშმა მოგვიტანა“.

სერგეი ბელოვი, რუსეთის ნაკრების თავკაცი: „მეტოქემ გამარჯვება სრულიად დაიმსახურა. ჩემმა ბიჭებმა დავალება პირწმინდად შეასრულეს, რაც განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის. სამწუხაროა, მაგრამ ოქროს მედლები გადამწყვეტ მომენტში ჩვენივე შეცდომის გამო დავკარგეთ“.

დეიან ბოდიროგა, იუგოსლაველთა შემტევი მცველი, ჩემპიონატის MVP: „გუნდიდან ჩემი გამოყოფა არცთუ სამართლიანია. ჩვენთვის ძირითადი მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება იყო, რისთვისაც იუგოსლავიის ნაკრებში 12 MVP იბრძოდა.

8 აგვისტო

ნახევარფინალები

**აშშ 64:66 (39:37) რუსეთი**

**აშშ: ჯ. კინგი (10), ოლივერი (9), სესერი (8)**

**რუსეით: ბაბკოვი (30), კარასიოვი (10), პანოვი (7)**

დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩემპიონატის დაწყების პირველი დღიდან ამერიკელთა მიმართ ერთი ტკბილი სიტყვაც არ დაგვცდენია. საუკეთესო კალათბურთელების გარეშე დარჩენილ აშშ-ის ეროვნული ნაკრები საკმაოდ სუსტია და პირველობას არ იმსახურებსო, წამდაუწუმ გავიძახოდით და მავანთ იქნებ ირონიულადაც ეცინებოდათ — გუნდმა შვიდი გამარჯვებული შეხვედრიდან ექვსში ავად თუ კარგად იმარჯვა, მხოლოდ ერთი წააგო, ფინალში გასასვლელადაც იბრძვის და ამათი სიმპათიები ნეტა რით ვერ დაიმსახურაო.

თუმცა ის, ვინც შაბათს ნახევარფინალში ამერიკელთა თამაში იხილა, არა გვგონია, შენიშვნების ხასიათზე ყოფილიყო. ყველაზე ცუდ დღეში იმ საღამოს ოკეანისგაღმელთა მთავარი მწვრთნელი რუდი ტომიანოვიჩი გახლდათ. „ჰიუსტონ როკიტსის“ ეს მართლაც საუცხოო დამრიგებელი ხეპრე და გაუთლელმა ზანგებმა იმდენი ანერვიულეს, რომ საბრალოს კინაღამ გული გაუხეთქეს. არადა, რა დიდი იმედებით ელოდა ტომიანოვიჩი ამ შეხვედრას. საქმე ისაა, რომ წლევანდელი ნახევარფინალი ოთხი წლის წინ ტორონტოში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ერთგვარი გამეორება გახლადთ. მაშინ ამერიკელებმა უპრობლემოდ დაამარცხეს რუსები და პირველობაც მოიპოვეს. მწვრთნელს ეს მატჩი კარგად ახსოვდა, ჰოდა, თავის შეგირდებსაც იგივე შედეგი დაუსახა მიზნად.

მაგრამ 1994 წელს კანადაში ხომ NBA-ს ვარსკვლავებით გადაჭედილი გუნდი იყო ჩასული? საბერძნეთში კი ვითარება სხვაგვარად გახლდათ. მწვრთნელების განკარგულებაში „ოლიმპიაკოსის“ მცველი მაიკლ ჰოკინსი, გერმანული „ალბას“ ცენტრი“ ვენდელ ალექსისი და ძმანი მათნი იყვნენ, რომლებსაც NBA-ს კარი იმიტომ როდი მიუჯახუნეს, რომ ცუდი ბიჭები არიან და გოლდენსტეიტელი სპრუელივით გუნდის თავკაცებს სცემენ. უბრალოდ, ამ ხალხის უმეტესობამ თავისი დრო უკვე მოჭამა, ხოლო დანარჩენთათვის ღმერთს დიდი საკალათბურთო ნიჭი არ მიუმადლებია და რა ქნან?

რუსებმა თავიდანვე ისარგებლეს მეტოქის უგერგილობით და დაწინაურდნენ — 19:12. მეოთხედფინალში ლიტველების ფაქტობრივად მარტო დამმარცხებელი ვასილი კარასიოვი კარგად უძლვებოდა პარტნიორებს. პანოვი, ბაბკოვი და მიხაილოვიც დაუბრკოლებლად ლაშქრავდნენ ამერიკელთა კალათს და მოწინააღმდეგეს ანგარიშის შემცირების საშუალებას არ აძლევდნენ. 21:14, 25:18 — ასე გაგრძელდა იქამდე, სანამ რუსებს ტრადიციული ჩავარდნის დრო არ დაუდგათ.

პანოვი უწყინარ სიტუაციაში გარბენს აკეთებს, ვერც კისურინი ირჯება სათანადოდ და რუსებს ოფლის ფასად მოპოვებული უპირატესობა ხელში შემოადნათ. აშშ-მ ეს მონაკვეთი 7:0 მოიგო. ამას ევროპელთა კიდევ ორი შეცდომა მოჰყვა და რუსები მხოლოდ ერთი ქულითღა არიან წინ 36:35.

თითქოს ეს არ კმაროდა, პირველი ტაიმის ბოლოს სერგეი ბელოვს ახალი თავსატეხი გაუჩნდა. მოულოდნელად მისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი სერგეი ბაბკოვი დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

რუსებიც რისი რუსები იქნებოდნენ, ასეთი უბედობა ვაჟკაცურად გადაეტანათ და არ დაბნეულიყვნენ. მათ მეტოქეს თავისუფლად ამოქმედების საშუალება მისცეს, რაც ამ უკანასკნელთათვის მშვენიერი საჩუქარი გამოდგა.

მოკლედ, ოკეანისგაღმელებმა ხელსაყრელი მომენტი არ დაკარგეს და შესვენებაზე ორქულიანი უპირატესობით წავიდნენ — 39:37.

მეორე ტაიმი რუსთათვის თითქოს ურიგოდ არ დაიწყო. მათ ანგარიშში ჩამორჩენაც შეამცირეს, მაგრამ...

რატომღაც მცველმა იგორ კუდელინმა ბელოვის მითითებების საწინააღმდეგოდ მეტოქის კალათისკენ შორი მანძილებიდან ტყორცნას უხშირა. საერთოდ, კუდელინი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერია და სამქულიანების უზადო დიდოსტატადაც ითვლება, მაგრამ ამ საღამოს მართლაც მეტისმეტი მოუვიდა. საოცარია, კუდელინის არც ერთმა ტყორცნამ ერთის გარდა მიზანს არ მიაღწია. ეს კი იმის მაგივრად, რომ შეტევის სხვა გაგრძელება მოენახა და ბურთი დროულად უკეთეს პოზიციაში მდგომი თანაგუნდელებისთვის გადაეწოდებინა, ჯიუტად განაგრძობდა უმიზნოდ კალათში სროლას.

მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში საქმისადმი ასეთ აგდებულ დამოკიდებულებას აშშ-ის ნაკრები კი არა, სოფლის ბიჭები არ გაპატიებენ. ტომიანოვიჩის შეგირდებმაც მეთოდურად იწყეს ანგარიშის გაზრდა და საკმაოდ სოლიდური სხვაობითაც გავიდნენ წინ 45:53, 50:58, 52:62 (!).

შეხვედრის დამთავრებამდე 2.50 წუთით ადრე კი ტაბლო რუსთათვის თავზარდამცემ ანგარიშს აჩვენებდა — 54:64.

აქ, ალბათ, რუსეთის ნაკრების ყველაზე თავგადაკლულმა ქომაგებმაც ხელი ჩაიქნიეს და უიმედოდ განაგრძეს საყვარელი გუნდის ტანჯვის ყურება. თუმცა, მათდა საბედნიეროდ, მოედანს პირველი ტაიმის ბოლოს დაშავებული ბაბკოვი დაუბრუნდა, რომლის გამოჩენამაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

მომდევნო ორ შეტევაში ბაბკოვის პასებით მიხაილოვი და პანოვი აგდებენ ორქულიანებს, ხოლო შემდეგ თავად შაბათ საღამოს გმირი ესვრის ზედიზედ ორ სამქულიანს და საოცრება ხდება — 64:64 (!).

მატჩში 30 ქულის ჩამგდები ბაბკოვის ჩინებული თამაშის შემხედვარე ამერიკელებს ხელები აუკანკალდათ. მათ უადვილესი ბურთები ააცილეს მიზანს, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე 10 წამით ადრე შეტევაშიც დაჯარიმდნენ.

საბოლოო შეტევის განხორციელება ტანმაღალმა პანოვმა ითავა. იგი მოქნილი მცველივით მოხერხებულად გაძვრა ორ მეტოქეს შორის და საფინალო სასტვენთან ერთად ისტორიული გამარჯვება მოუტანა თავისიანებს — 66:64.

**იუგოსლავია 78:73 საბერძნეთი (57:57, 31:33)**

**იუგოსლავია: ბოდიროგა (31), რებრაჩა (20)**

**საბერძნეთი: ეკონომუ (25), კორონიოსი (19)**

შეხვედრამ მთლიანად გაამართლა ათენის ოლიმპიურ დარბაზში შეკრებილი 18 ათასი გულშემატკივარის მოლოდინი და სწორედ ისეთი გამოდგა, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალს რომ შეეფერება.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს გუნდები მეორე ეტაპის ბოლო მატჩშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. იმ დროისთვის იუგოსლავიელებსაც და ბერძნებსაც მეოთხედფინალში გასვლის პრობლემა კარგა ხნის გადაჭრილი ჰქონდათ და ამ მხრივ შეხვედრა ბევრს არაფერს წყვეტდა, მაგრამ ამის მიუხედავად კალათბურთელებმა მოინდომეს, ვაჟკაცური ბრძოლა გააჩაღეს და დაუვიწყარი სანახაობა აჩუქეს ქომაგებს. მატჩი საბოლოოდ ბალკანელების გამარჯვებით დამთავრდა 70:56, რაც კიდევ უფრო მეტ ინტრიგას სძენდა ნახევარფინალურ შეხვედრას.

აკი აცხადებდა კიდეც იუგოსლავიელებთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ მასპინძელთა ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი ანგელოს კორონიოსი, E ჯგუფში ჩვენი ნაკრების მარცხს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი სულ სხვაგვარი, უფრო დაძაბული იქნება და ზელკო ობრადოვიჩის გუნდს შავ დღეს დავაყრითო.

თუ ამ ნაკრებების ურთიერთშეხვედრების სრულ სტატისტიკურ ნუსხას გადავავლებთ თვალს, ადვილად მივხვდებით, თუ რატომ იყო ასე აგრესიულად განწყობილი ბერძენი მცველი — ელინელებს ხომ იუგოსლავიელებისთვის საერთაშორისო დონეზე უკანასკნელი 16 (!) თამაშის განმავლობაში ვერ მოეგოთ. ახლა კი საკუთარ დარბაზში უამრავი ერთგული ქომაგის თვალწინ რევანშის აღების საუცხოო შანსი მიეცათ და ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ.

თავიდან ელინთა შეჩერება შეუძლებელი შეიქნა. პანაიოტის იანაკისის ბიჭები თავისუფლად არღვევდნენ მეტოქის დაცვას და ქულას ქულაზე აგროვებდნენ. პირველი ტაიმის შუაწელისთვის ანგარიშში სხვაობამ ცხრა ქულას მიაღწია 29:20, მაგრამ იუგოსლავიელებმა ჩვეული სიმშვიდით შეძლეს წინწასულთა შეჩერება. ბოდიროგა, რებრაჩა და ჯორჯევიჩი სწრაფ გარღვევებს ახორციელებენ და შესვენებაზეც თავიანთი გუნდისთვის საკმაოდ უსაფრთხო ანგარიშით მიდიან 31:33.

აი, მეორე ნახევრის დასაწყისი კი მთლიანად ბერძნების იყო. იუგოსლავიელებს თითქოს ის არ ჰყოფნიდათ, რომ ეკონომუ და ალვერტისი ზუსტ სამქულიანებს ტყორცნიდნენ, მოულოდნელად ცენტრალურმა თავდამსხმელმა რენციასმაც აიწყვიტა. ბერძნებმა მეტოქეს 9 უპასუხო ქულა ჩაუგდეს და საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე ამ უკანასკნელთათვის ანგარიში კატასტროფული გახადეს 48:36.

ბერძნებმა ამხელა უპირატესობა კი მოიპოვეს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს იუგოსლავიელები წუთიწუთზე შეძლებდნენ თამაშის ბედის შემობრუნებას. მათ თავკაცს ზელკო ობრადოვიჩს ხომ ამგვარი მატჩების მოგების უდიდესი გამოცდილება აქვს და მისთვის გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს.

მართლაც, მთავარი მწვრთნელის დარიგებების შემდეგ ბალკანელთა დაცვა გადაეწყო და ისეთი შეუვალი შეიქნა, რომ ბერძნებმა ზედიზედ რამდენიმე შეტევის დროს ბურთის კალათისკენ ტყორცნა საერთოდ ვერ მოახერხეს.

შეტევაში კი... დაშავებული და შესაბამისად, ნაკლებად აქტიური ჯორჯევიჩის ნაცვლად ლიდერობა დეიან ბოდირიგამ ითავა. სწორედ მისი ულამაზესი გარღვევებისა და დროული პასების წყალობით იყო, რომ იუგოსლავიელებმა ანგარიშში ჩამორჩენა შეამცირეს და შეხედრის დასრულებამდე 1,30 წუთით ადრე წინაც გავიდნენ 57:56. ეკონომუს მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმო ტყორცნის შემდეგ განხორციელებული საპასუხო იერიშისას ბალკანელებს მატჩის ძირითად დროში მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ ჯორჯევიჩის ტყორცნამ მიზანს ვერ მიაღწია. ოვერტაიმი!

ეს იუგოსლავიის ნაკრებისთვის ამ ტურნირში მეორე ოვერტაიმი გამოდგა. უნდა ითქვას, რომ მათ ორჯერვე სამაგალითო გამარჯვება იზეიმეს. რუსებთან B ჯგუფის მატჩში თუ ოდნავ გაუჭირდათ, ამჯერად ამას ვერ იტყოდით. თავად განსაჯეთ: დამატებითი დროის გასრულებამდე ორი წუთით ადრე ტაბლოზე 72:67 კიაფობდა ობრადოვიჩის გუნდის სასარგებლოდ.

აქ ბერძნებმა საბოლოოდ გაბრძოლება სცადეს. ეკონომუმ მშვენიერი სამქულიანიც ჩააგდო, მაგრამ... 31 ქულის მომგროვებელ ბოდიროგას იმ დღეს ვერაფერი მოუხერხეს. 73:76-ზე, კი განერვიულებულმა პაპანიკოლაუმ ბურთი უძლიერესი დარტყმით მაყურებლებში გაგზავნა, რითაც მსაჯებს ტექნიკური ჯარიმა გამოსტყუა.

იუგოსლავიელები მიხვდნენ, რომ ეს გამარჯვება იყო. გამარჯვება, რომელიც მათ სავსებით დაიმსახურეს.

მატჩი მე-11 ადგილისთვის

**პუერტო რიკო 92:81 (60:33) კანადა**

**პუერტო რიკო: სანტიაგო (21), ვეგა (21), ორტისი (12)**

**კანადა: ბარეტი (23), ნიუტონი (15), გუარაჩი (14)**

მატჩი მე-9 ადგილისთვს

**ავსრალია 79:75 (35:40) ბრაზილია**

**ავსტრალია: ჰილი (18), გეიზი (17), დუაიტი (11)**

**ბრაზილია: ფონსეკა (20), ჟოსუელი (12), პეგოლო (10)**

მატჩები მე-5—მე-7 ადილებისთვის

**ლიტვა 71:76 (42:46) იტალია**

**ლიტვა: კარნიშოვასი (20), ჟუკაუსკასი (13), შტომბერგასი (11)**

**იტალია: აბიო (18), ფუჩკა (15), მაიერსი (12)**

**ესპანეთი 77:64 (37:34) არგენტინა**

**ესპანეთი: ორენგა (22), ეროროსი (15), ანგულო (10)**

**არგენტინა: ესპილი (18), ჯინობლი (13), ობერტო (9)**

9 აგვისტო

მატჩი მე-7 ადგილისთვის

**ლიტვა 77:76 (47:38) არგენტინა**

**ლიტვა: ეინიკისი (18), ადომაიტისი (16), ლუკმინასი (12)**

**არგენტინა: ესპილი (23), ობერტო (18), ჯინობლი (12)**

მატჩი მე-5 ადგილისთვის

**ესპანეთი 64:61 (32:32) იტალია**

**ესპანეთი: ერეროსი (17), რეიესი (13)**

**იტალია: აბიო (13), კიაჩიგი (12), ფუჩკა (10)**

მატჩი მე-3 ადგილისთვის

**საბერძნეთი 61:84 აშშ**

საბოლოოდ მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატზე ადგილები ასე განაწილდა:

1. იუგოსლავია
2. რუსეთი
3. აშშ
4. საბერძნეთი
5. ესპანეთი
6. იტალია
7. ლიტვა
8. არგენტინა
9. ავსტრალია
10. ბრაზილია
11. პუერტო რიკო
12. კანადა
13. ნიგერია
14. იაპონია
15. სენეგალი
16. კორეა

**ირაკლი ხმელიძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები — სარბიელის ვერსია



დეიან ბოდიროგა
მცველი, იუგოსლავია
ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშე



ნიკოს ეკონომუ
თავდამსხმელი, საბერძნეთი



ზელკო რებრაჩა
ცენტრი, იუგოსლავია



გრეგორ ფუჩკა
თავდამსხმელი, იტალია



ვასილი კარასიოვი
მცველი, რუსეთი

# ჩემპიონობისა და ვაჟკაცობის მოლოდინში

ამ დილით მინსკში გაფრინდა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები. ჩვენი ფალავნები ბელარუსთა უპირველეს ქალაქში კარსმომდგარი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მზადების ბოლო ეტაპს გაივლიან შეკრების სახით, თან მასპინძლებსა და ებრაელებსაც „წაესპარინგებიან“ და შვედეთსაც პირდაპირ მინსკიდან ეწვევიან შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე.

მართალია, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია დასახულ მიზნებზე კონკრეტულად არაფერს ამბობს, მაგრამ ეს მისთვის დამახასიათებელი საქციელია — იგი ყოველთვის დიდ სიფრთხილეს იჩენს, როცა საქმე ესოდენ მნიშვნელოვან შეჯიბრებებს ეხება. მათზე საუბრისას მისი პასუხი ყოველთვის ზოგადია — ურიგოდ არ უნდა გამოვიდეთ, დანარჩენს თავად შეჯიბრება გვიჩვენებს და ა.შ. ეს არის და ეს. ან სასწაული უნდა მოხდეს, ან ძალიან უნდა შეაბეზრო კითხვებით, რომ უფრო კონკრეტული პასუხი მიიღო, თუნდაც ასეთ ბანალურ კითხვაზე — ვინ გესახებათ მედლის მოპოვების უპირველეს კანდიდატად? ამბობენ, დუმილი ოქროაო და მთავარ მწვრთნელსაც შეუძლია, ირჩიოს — ან ილაპარაკოს, ან არა. ეს მისი უფლებაა და ამას ვერავინ წაართმევს, მაგრამ ჩვენც ხომ გვაქვს უფლება, გვჯეროდეს ჩვენი ბიჭებისა და მათგან წარმატებებსაც ველოდეთ. სხვანაირად ღმერთმა ნუ ქნას — შეუძლებელია, საქართველოში, ანუ იმ ქვეყანაში, სადაც ჭიდაობას ეროვნულ მენტალიტეტში გაუდგამს ფესვები, ან ფალავნებისადმი რწმენა დაიკარგოს, ანაც მათ არ ექნეთ საამაყო და თავის მოსაწონებელი. ჭიდაობა ხომ ოდითგანვე ჩვენი ყოფიერების და სპორტის განუყოფელი ნაწილი იყო. იგი ჩვენი წინაპრების ცხოვრების ისეთივე თანამდევი იყო, როგორც, ვთქვათ, ადამიანისთვის საკუთარი ჩრდილია. მართალია, დღეს უკიდურესად გვიჭირს, მაგრამ ღვთით მომადლებული ნიჭის წყალობით, მეტ-ნაკლებად წარმატებებს მაინც ვაღწევთ. ამიტომაც გვეიმედება, რომ შვედეთში ჩვენი დროშაც აფრიალდება და ეროვნული ჰიმნიც აჟღერდება.

სწორედ ამ იმედით ვეწვიე ფალავანთა კლუბს. ჭიდაობაში შექმნილი პრობლემები ჩემთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია. ვიცი, რომ ჩვენები ხელმოკლედ არიან, არა აქვთ ვარჯიშისა და ცხოვრების ძველებური პირობები, ბევრი რამ აკლიათ, ბევრი რამ უჭირთ. ასეთ პირობებში სპორტსმენებთან უშუალო შეხვედრას, გასაუბრებას, ყოველთვის ახლავს სევდა, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი სტარტის წინ განსაკუთრებით ძლიერდება.

ადგილზე მისულმა ბიჭებმა იქვე, ფალავანთა კლუბშივე მათთვის საცხოვრებლად გამოყოფილ ერთ-ერთ ოთახში მიმიწვიეს, თან ჟურნალისტებთან, კონკრეტულად კი „სარბიელთან“ უფრო ახლოს ყოფნის სურვილიც გამოთქვეს. ხშირ-ხშირად მოდით, უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი და ერთურთის პრობლემები, ვიმეგობროთ, ვიახლოვოთო. კაცმა რომ თქვას, ჩვენი სურვილიც ასეთივეა. ჰოდა, ამიტომ საერთო ენაც იოლად გამოვნახეთ და საუბარიც იოლად აგვეწყო. საკმაოდ დიდხანსაც ვისაუბრეთ და საკმაოდ ბევრ რამეზეც — სპორტზე, ჭიდაობაზე, არასპორტულ თუ არასაჭიდაო თემებზე, ამ მთისაზე, იმ ბარისაზე, სიხარულსა თუ გულისტკივილზე, სამხიარულოსა და საწყენზე... ზოგი რამ სასაყვედუროც მასმინეს ჟურნალისტთა მისამართით. საერთოდ, ეს ძალზე მტკივნეული თემაა. სპორტსმენთა აზრით, სენსაციებს დახარბებული ზოგი ჟურნალისტი არათუ ეძებს, არამედ თავად ქმნის მსგავს სიტუაციებს. მეც კი, რომელსაც არასოდეს მიძებნია სენსაციები, მოჭიდავეთა და არა მხოლოდ მათი მხრიდან ზოგჯერ დაუმსახურებლად მიგვრძნია უნდობლობა. არადა, ხშირად ტკბილი სიტყვაც წამალია, ამ ბიჭებსაც ხომ თავიანთი პიროვნული სამყარო აქვთ ყოველდღიური სატკივარ-საფიქრალით. ამ არეულ დროში პრობლემები ვის აკლია, ამათ რომ აკლდეთ. როგორ გინდა, მხოლოდ დღევანდელი ეგრეთ წოდებული ხელფასის შემყურე კაცმა ნაქირავებ ბინაში ცოლ-შვილი არჩინო. ან კი რა ხელფასი უნდა გქონდეს, რომ ეს შეძლო, მით უფრო, თუ ამ ხელფასს თვეობით ვერ იღებ. ან ის როგორია, დიდ სპორტულ მიზნებზე ოცნებობდე, ამისთვის ილვწოდე, თან განუწყვეტლივ ოჯახის, ცოლ-შვილის შენახვაზე ფიქრობდე. ისე არ გამიგოთ, თითქოს ბიჭები წუწუნებდნენ-მეთქი. არა, წუწუნით ნამდვილად არ უწუწუნიათ, არც სხვაგან გაქცევით დაგვმუქრებიან. უბრალოდ, თავს უფლება მისცეს, ხმამაღლა ეთქვათ, ჩვენც კაცნი ვართო. თუ სპორტის ზოგიერთ სახეობას თავისუფლად შეიძლება სხვა სამსახურიც შეუთავსო, ჭიდაობა ასეთი ფუფუნების საშუალებას არ იძლევა. ეროვნული ნაკრების წევრობა პასუხისმგებლობას კი, მაგრამ პრივილეგიას არანაირს არ იძლევა. მართალია, არსებობს მორალური ფაქტორიც, შენ შენი დროშისა და ქვეყნის ღირსებას იცავ, მაგრამ... ხომ გახსოვთ, ნინოშვილის ერთი კაცის მკვლელი პერსონაჟი როგორ ამართლებს თავის საქციელს — მე ეს ცხოვრება ჯოჯოხეთად გადამიქციეს, ჯოჯოხეთში კი სულზე არავინ ფიქრობსო. ეს ბიჭებიც დაახლოებით ასე არიან — ყოველდღიურ ყოფით პრობლემებში ჩაძირულებს ბევრი რამისთვის არ სცხელათ, უფრო სწორად, არ სცალიათ.

არავინ იფიქროს, თითქოს მხოლოდ პრობლემებზე ვსაუბრობდით. ბუნებრივია, სადაც ახალგაზრდობაა, იქ მხიარულებაცაა. ასე იყო აქაც — ბიჭები საკმაოდ ენაწყლიანობდნენ ყველასა და ყველაფერზე. ერთი სიტყვით, ჩვენების ბანაკში მხიარული და ოპტიმისტური განწყობაა, თუმც არ ავიწყდებათ, რომ შვედეთში იოლი გასეირნება არ ელით. ყველა შეხვედრა საჭიდაოა, უბრძოლველად არავინ არაფერს დაგითმობს. მონაწილენიც ძლიერნი იქნებიან, რადგან ყველა ნაკრებს საუკეთესონი ეყოლებაო, მითხრა გიორგი ჯინჭველაშვილმა, საკუთარ გეგმებზე საუბარს კი რატომღაც სიფრთხილე თუ თავმდაბლობა არჩია. თუ ვინმე მიდის საჩემპიონოდ, უპირველესად შენო, შეაძახეს თანაგუნდელებმა — ემზარ მახარაძემ და მირიან გიორგაძემ, მაგრამ მათმა ქომაგობამაც ვერ მიშველა და გიორგიმ მხოლოდ ეს განაცხადა — იმედი მაქვს, გულდაწყვეტილი არ ჩამოვალთო. სამაგიეროდ, სავარაუდო მეტოქეებზე საუბრისას გაცილებით მეტი გულუხვობა გამოიჩინა: „ძლიერი მეტოქე ბევრია, მაგრამ მათგან გამოვყოფ რუსეთის ნაკრების წევრ ტრეტიაკოვს, რომელსაც შარშანდელი მსოფლიოს პირველობის შემდეგ, არ შევხვედრივარ. რაც შეეხება უშუალოდ ამ ჩემპიონატისთვის მზადებას, შემაფერხებელი მიზეზი არ ყოფილა და ვთვლი, რომ კარგად ვარ მომზადებული“ — მითხრა გიორგიმ, თან დაამატა, შვედეთში ორჯერ ვარ ნამყოფი და ახლა ტურისტად წასვლა ნამდვილად არ მსურსო. მანდამაინც უმაღლეს შედეგს ვერ დაგპირდებით, მაგრამ ვეცდები, პრიზიორთა შორის მოვხვდეო, თქვა ევროპის ვიცე-ჩემპიონმა ხვიჩა ბიჩინაშვილმა. ამ ჩემპიონატისთვის მზადებით იგი კმაყოფილია და იმ კონკურენტებზე ფიქრობს, რომლებსაც შეიძლება ჩემპიონობისკენ სავალ გზაზე შეხვდეს. მათ შორის კი სამს გამოარჩევს — რუს, კუბელ და თურქ მეტოქეებს. რუსთან მან მინსკში, ევროპის ჩემპიონატზე ფინალი წააგო, ხოლო კუბელთან, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონიცაა, წინა მსოფლიოს პირველობაზე წაგებას ახლაც სინანულით იგონებს. მაშინ თურმე შეხვედრის დამთავრებამდე წამებით ადრე 3:0-ს იგებდა, მაგრამ მოახერხა და წააგო. რაც შეეხება თურქ ფალავანს, მას ხვიჩა არასოდეს შეხვედრია, ისე კი, მინსკში მესამე ყოფილა და თან ძალიან სტაბილური და ძლიერი მოჭიდავის შთაბეჭდილებაც მოუხდენია ჩვენებურზე.

შვედეთში ტურისტად წასვლას არც ემზარ მახარაძე აპირებს. იგი საკმაოდ რეალურად აფასებს თავის შანსებს და თვლის, რომ თუმცა არც მედლის მოპოვებაა გამორიცხული, მაგრამ უფრო რეალურად ხუთეულს თვლის. იგი მეტად კმაყოფილია ისრაელში გოჩა ციციაშვილთან ერთად გავლილი შეკრებით, სადაც მწვრთნელი ოთარ ტატიშვილიც თან ხლებია, თუმცა სრულყოფილი მომზადება ხელის სერიოზული ტრავმის გამო ვერ მოუხერხებია.

ყველა ყველა , მაგრამ შვედეთში წამსვლელთაგან გასამარჯვებლად ყველაზე დიდი სტიმული მაინც სამტრედიელ აკაკი ჩაჩუას აქვს. სექტემბერში კაკო პირველ შვილს ელის და თუ რაიმე წარმატებას მიაღწევს, უნდა იგი თავის სიყრმის შვილს მიუძღვნას. მას დიდი სურვილი აქვს, მამობას მსოფლიოს ჩემპიონის რანგში შეხვდეს. სულ ცოტა, სამეულს გეგმავს, მაქსიმუმი კი, ცხადია, ჩემპიონობაა, მაგრამ იცის, რომ საამისოდ რუს მონოვთან, პოლონელ ზავაცკისთან და თურქ იეროლლუსთან უძნელესი ბრძოლები ელის. სწორედ ეს სამეულია ტრონის მიმცემი ამ წონაში. კაკომ მინსკში სწორედ მონოვთან წააგო, ხოლო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ბოლო რამდენიმე ფინალი მონოვ-იეროლლუს დუელად იქცა. რაღა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ აკაკის მსოფლიოს ჩემპიონობა და ვაჟიანობა ერთად ვუსურვოთ.

აკაკი ჩაჩუასა და კობა გულიაშვილის ურთიერთობა ცალკე საუბრის თემაა. ისინი სიყრმის მეგობრები და მეტოქენი ყოფილან. წინა „სარბიელში“ ნაწერი, გულიაშვილმა ჩაჩუას წონაში, 63 კილოში გადაინაცვლა, მაგრამ მასთან კონკურენციაში ნაკრებში ადგილი დაკარგაო, ორივემ მხიარულად აიტაცა და ამ თემაზე კარგა ხანსაც ხუმრობდნენ. კობა თურმე, იმასაც ამბობდა, ჩაჩუას ამ წონაში მე შევცვალიო, რის გამოც კაკო დღეს ნიშნს უგებს. სასიხარულოა, რომ კონკურენციამ მათ მეგობრობას ვერაფერი დააკლო ზოგთაგან განსხვავებით. კობას თურმე გარკვეული მიზნით არ დაუკლია წონა. ჩემზე კვლავაც ბევრჯერ დაგაწერინებთ კარგსო, „დაგვემუქრა“ მარტყოფელი ფალავანი. ბატონი ბრძანდებით, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი-მეთქი, დავიმდაბლე თავი.

ერთი სიტყვით, ჩვენებურთა ბანაკში სიმშვიდეა. მოჭარბებული არც ოპტიმიზმია და არც პესიმიზმი. თითოეულმა მათგანმა იცის, რომ ყოველი შეხვედრა ბრძოლა იქნება და რომ ბრძოლას ძლიერები იგებენ. მოგება კი თხუნელასავით წინდაწინ თვალების დათხრით არ გამოვა. ამიტომაც არ არის მათში პესიმიზმი, რაც ჩვენც, საქართველოში დარჩენილ მათ ქომაგებს სხვაფრივ გაუხარელ ცხოვრებაში სპორტულ სიხარულს მაინც გვპირდება.

**ირაკლი თავაძე**


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი

**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე

**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი

**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი

**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია.**

**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი

**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე

**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29


რაგბი

# რაგბის არ ვნანობ, სხვას ვნანობ...



რამაზ სანებლიძე

ეტყობა, ერთხელ მაინც თუ ითამაშებ რაგბის, მის ლაზათიან და ჯიგრიან სულს გემოს გაუგებ, ოვალურ ბურთს ხელს აღარ გაუშვებ და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულებ.. ქართველი კაცის ბუნებამაც ბოლომდე გაითავისა რაგბი, მით უმეტეს ჩვენი წინაპარი ოდითგანვე მარჯვე იყო ლელოს გატანაში. მერწმუნეთ, ნამდვილად არ ვაჭარბებ, მართლაც ბევრი შემხვედრია რაგბით მოწამლული ქართველი და დღეს ერთ მათგანს გვინდა შეგახვედროთ. რამაზ სანებლიძე იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც ქართული რაგბის პიონერთაგანად შეიძლება მოვიხსენიოთ. იგი თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდა, გუნდში, რომელიც თავის დროზე მთელს საბჭოეთში ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იყო და არაერთი სიხარული უჩუქებია გულშემატკივართათვის. რამაზ სანებლიძემ მოთამაშის კარიერის დამთავრების მერეც არ უღალატა რაგბის და ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესო ქართული სარაგბო კლუბის „ექსპრესის“ გუნდის უფროსია. მასთან საუბარიც სწორედ „ექსპრესით“ დავიწყეთ:

— „ექსპრესი“ „შევარდენისა“ და „ქორების“ გაერთიანების შედეგად შეიქმნა. კარგა ხნის მანძილზე „შევარდენს“ ვხელმძღვანელობდი და გუნდსაც თავისი სახე და სათამაშო სტილი ჰქონდა. თუმცა დადგა დრო, როცა აუცილებლად ჩავთვალე, რომელიმე კლუბთან გავერთიანებულიყავით და ამის ხარჯზე ერთი ძლიერი, ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი შეგვექმნა. თავიდან ლაპარაკი „გუმარზე“ იყო, მაგრამ ალალად გეტყვით, ჩემი სიმპათიები „ქორებისკენ“ იხრებოდა. ალბათ იმიტომაც, რომ ეს კლუბი „ლოკომოტივის“ ბაზაზე იყო შექმნილი. „ლოკომოტივს“ კი ყოველთვის ჩემს მშობლიურ კლუბად ვთვლიდი. საბოლოოდ ასე მოხდა და ქართულ სარაგბო სამყაროს ახალი კლუბი „ექსპრესი“ მოევლინა, რომლის ერთ-ერთი თავკაცი, მთავარ მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილთან ერთად მეც ვარ.

**— ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდის შექმნა გადაგიწყვეტიათ, თემურ ბენდიაშვილიც ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, მაგრამ თუ მაღალი კლასის მორაგბეებით არ დაკომპლექტდა გუნდი, ვეჭვობ, პირველობისთვის იბრძოლოთ.**

— მართალია, „ექსპრესი“ საკმაოდ ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ თითოეულ რგოლში გამოცდილი, ბევრისმნახველი მორაგბეც ირჯება, თამაზ ხუადესა და გია გიუნაშვილს, მგონი, რაგბის მოყვარულთათვის წარდგენა არ სჭირდება. რაც მთავარია, თემურ ბენდიაშვილმა შეძლო ბიჭების ერთ მუშტად შეკვრა და ყოფილი „ლოკომოტივის“ სულის შენარჩუნება — გუნდი მარცხს ვერ ეგუება, ბოლომდე თავგამოდებით იბრძვის. შეიძლება თამამი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ მწამს, „ექსპრესი“ წელს ჩემპიონატის აშკარა ფავორიტია.

**— კი მაგრამ, „ყოჩები“, „გუმარი“, „დათვები“? მათაც ხომ პირველობა სწადიათ?**

— ეს გუნდები რომ უბრძოლველად არაფერს დათმობენ, ფაქტია. განსაკუთრებით „ყოჩები“. ისინი ჩემპიონობის შენარჩუნებას ელოდებიან და საამისოდ ძალაც შესწევთ. ვფიქრობ, ჩვენს და „ყოჩებს“ შორის გაირკვევა გამარჯვებულის ვინაობა.

**— გუნდის შენახვას არცთუ ცოტა ფული სჭირდება.**

— „ექსპრესის“ დამფუძნებლები რკინიგზის დეპარტამენტი და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო არიან. ისინი შეძლებისდაგვარად გვეხმარებიან, სტადიონის პრობლემაც ნაწილობრივ მოგვარებულია, გუნდი „ლოკომოტივის“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობს. ერთსაც გეტყვით, მიუხედავად ჩვენი დღევანდელი საერთო სიდუხჭირისა, „ექსპრესი“ არასოდეს დაიშლება და მისი სახით ქართულ რაგბის მუდამ ძლიერი გუნდი ეყოლება.

**— მოდით, წარსულსაც გადავავლოთ თვალი და ის წლები გავიხსენოთ, პირველად რომ აიღეთ ოვალური ბურთი ხელში.**

— 1968 წელს უნივერსიტეტის დასასვენებელ ბანაკში, გუდაუთაში პირველად ვიხილე თამაში, რომელიც ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი იყო, როგორც მერე გავარკვიე, სტუდენტები რაგბიში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შემომთავაზეს ძალა მესინჯა და მას შემდეგ სერიოზულ ვარჯიშს შევუდექი. მომდევნო წელს ბათუმში ერთ-ერთ ტურნირზე „ლოკომოტივის“ თავკაცებს თვალში მოვუვედი და რკინიგზის გუნდში გადასვლაზე ჩამომიგდეს სიტყვა. მეც უყოყმანოდ დავთანხმდი და არც არასდროს მინანია. იმ დროის „ლოკომოტივი“ ბრწყინვალე გუნდი და ამავე დროს ნაღდი ვაჟკაცების კრებული იყო, მათი ლიდერი კი დიდი პიროვნება, სულით სპეტაკი კაცი ნოდარ ყიფიანი გახლდათ.

**— „ლოკომოტივი“ ერთ-ერთი გამორჩეული იყო საბჭოთა გუნდებს შორის. იქ გატარებულ წლებზე ბევრი მოსაგონარი გექნებათ, კურიოზიც მრავალი გადაგხდებოდათ თავს.**

— თავიდანვე გეტყვით, რომ „ლოკომოტივს“ თავისი არსებობის მანძილზე არასდროს დაუტოვებია უმაღლესი ლიგა. ჩავარდნებიც გვქონდა, მაგრამ უმეტესად მუდამ ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით. რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენმა თაობამ ერთხელაც ვერ შეძლო სანუკვარი მიზნის აღსრულება. ზედიზედ ორ წელს მსაჯებმა აშკარად დაგვჩაგრეს და, რომ იტყვიან, ოქროს მედლები ცხვირწინ აგვაცალეს. ამის შემდეგ ბევრს გული გაუტყდა და თამაშსაც თავი დაანება.

ზემოთ კურიოზი ახსენეთ და ჩემი სპორტული კარიერის მანძილზე მართლაც ათასი რამ გადამხდენია. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ რაგბის საბჭოელ ხელმძღვანელებს დისკვალიფიკაციით განებივრებულნი ვყავდით. კარგად იცით, რაგბი კონტაქტური თამაშია და შეხლა-შემოხლა, მუშტის მოღერებაც არაა უცხო ხილი. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: თუ არ ვცდები, 1971 წელია, მოსკოვში საერთაშორისო ტურნირი ტარდება, ჩვენც ვართ მიწვეულნი და პირველ მატჩში მონინოს ვხვდებით. თამაში ახალი დაწყებულია და ატყდა ჩხუბი და მერე რა ჩხუბი — 9 კაცი საავადმყოფოში გააქანეს, ხოლო მე, თემურ ბენდიაშვილი და თემურ რუხაძე ჩეხმა მორაგბეებმა ხელში აგვიყვანეს და დიდი პატივით გაგვაცილეს გასახდელში. ეს ჩხუბი ძვირად დამიჯდა. სამუდამოდ ამიკრძალეს რაგბის თამაში, თუმცა ორი წლის მერე კვლავ დამრთეს ნება საყვარელ საქმეს დავბრუნებოდი.

**— ბატონო რამაზ, კვლავ დღევანდელობას დავუბრუნდეთ, ორიოდ სიტყვა საქართველოს მორაგბეთა ნაკრებზეც ვთქვათ.**

— 20 მაისის საღამოს ჩვენმა ბიჭებმა უბედნიერესი წუთები განმაცდევინეს, მათ ხომ ვაჟკაცურ, უშეღავათო ბრძოლაში სძლიეს რუსებს და მსოფლიო თასის მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ქართულ რაგბის დიდი პოტენციალი გააჩნია, დღევანდელმა თაობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას, ოღონდ ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ, უპირველესად კი სახელმწიფომ და მეცენატმა; არც ის დღეა შორს, ახალ ზელანდიას, ინგლისს, საფრანგეთს და სხვა გრანდებს ტოლსწორად რომ გავეჯიბრებით. ერთსაც გეტყვით, იმაზე მწყდება გული, ჩვენი დროის მორაგბეებს რომ არ გვქონდა შესაძლებლობა საბჭოეთის გარეთ გავსულიყავით და იქ გვესინჯა ძალა, თორემ დათო კილასონია, ბესარიონ ლილუაშვილი, რამაზ ხარშილაძე და ბევრი სხვა, მერწმუნეთ, თავს არავისთან შეირცხვენდნენ.

**— და ბოლოს, ბატონო რამაზ, სულ ახლახან 50 წლის შესრულდით, უპირველესად გილოცავთ, ნახევარსაუკუნოვანი გადასახედიდან კი როგორ შეაფასებდით თქვენს მიერ განვლილ გზას?**

— ჩემი ცხოვრების არჩევანს ნამდვილად არ ვნანობ, ამ ხნის მანძილზე უამრავ ადამიანთან მიხდებოდა ურთიერთობა და, ცხადია, რაღაც შეცდომები მეც მომსვლია. ამიტომაც, ვინც ჩვენს ინტერვიუს ჩაიკითხავს — ჩემს მეგობრებს, ოჯახის წევრებს, ყველას მინდა იმ უნებლიე შეცდომებისთვის ბოდიში მოვუხადო.

**სოსო კოტორეიშვილი**